

ვერულაშვილი, ნ., -

საკითხავი მასალა - პარაფარმაცევტული
საშუალოებები
(სალექციო კურსი)

2011 წელი

პარაფარმაცია, მისი არსი და მოკლე ისტორიული მიმოხილვა

პარაფარმაცია ბერძნული სიტყვებიდან მოდის და პირდაპირი თარგმანით, წამლებთან ახლოს მდგომ მეცნიერებას ნიშნავს, რადგანაც, ბერძნ. para- აღნიშნავს, ანალოგიურს, ახლოს მდგომს, მცდარს, ხოლო ბერძნ. pharmakeia (pharmakia) წამლის გამოყენება – არის კომპლექსი დისციპლინებისა, რომლებიც სწავლობს სამკურნალო საშუალებათა მოპოვების, დამუშავების, დამზადების, შემოწმების, შენახვისა და გაცემის წესებს.

დღესდღეობით პარაფარმაცევტულ საშუალებებში მოიაზრება ადამიანის თავის მოვლის საშუალებები, რომლებიც მოიცავს თმის, ფრჩხილების, კანის, (სახის, ტანის, ხელების, ფეხების), ინტიმური, მოვლის საშუალებებს. აქვე მოიაზრება კოსმეტიკური საშუალებები.

პარაფარმაციის, და აქედან გამომდინარე კოსმეტიკის ისტორია იმდენივე საუკუნეს ითვლის, რამდენსაც თავად კაცობრიობა, რადგან ქალებს ყველა ეპოქაში თანაბრად სურდათ, ლამაზები და ახალგაზრდები ყოფილიყვნენ. რა თქმა უნდა, კოსმეტიკამ, მისმა ფუნქციებმა, დროთა განმავლობაში ბევრჯერ განიცადა ცვლილება. სიტყვა `კოსმეტიკა` მომდინარეობს ბერძნული ტერმინიდან `cosmo`, რაც ქართულად წესრიგის დამყარებას, მოწესრიგებას ნიშნავს. საინტერესოა ისიც, რომ დღემდე დადგენილი არაა, კონკრეტულად რომელი ქვეყანაა კოსმეტიკის სამშობლო. ამ წოდებას ზოგი ძველ ეგვიპტეს, ზოგიც ძველ საბერძნეთს ანიჭებს. ამ ვერსიის მხარდამჭერნი ამტკიცებენ, რომ კოსმეტიკა გამოიგონა ძველი ბერძნების სილამაზისა და სიყვარულის ქალკდმერთმა, აფროდიტემ. ბუნებრივია, ეს ლეგენდაა, რომლის თანახმადაც, აფროდიტემ შექმნა ყველაზე ლამაზი ყვავილი – ვარდი, რათა მისი ფურცლებისგან მომზადებული აბაზანები მიეღო.

სხვათა შორის, თანამედროვე კოსმეტიკის მრავალი პროცედურა სწორედ უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მაგალითად, სხეულზე არასასურველი თმების მოსაცილებლად კოსმეტიკურ სალონებში ამჟამად იყენებენ ე.წ. `შუგარინგის` მეთოდს, რომელსაც შაქრის ეპილაციასაც უწოდებენ. ძველადაც არსებობდა მსგავსი პროცედურა: გამომწვარ შაქარს ან შაქრის პასტას უმატებდნენ ლიმნის წვენს და ისვამდნენ კანზე. მიღებული ეფექტი ძალიან ჰგავდა დღეს არსებულ შედეგებს. ოღონდ, დღემდე უცნობია, ვინ მოიფიქრა ეპილაციის ეს საშუალება – ნეფერტიტმა თუ თაის ათენელმა.

ჩვენს წ. აღ.–მდე V-IV საუკუნეებში, ბერძენი ქალბატონები, პუდრას მსგავსად, ხმარობდნენ დანაყილ პარკოსან მცენარეებს, ფქვილსა და ცარცს. ბაგეებს იღებავდნენ წითელი საღებავით, რომელსაც ბუჟლენდისგან (ეს არის ბალახისმჭამელი მწერის, ბუჟლენდის ბუგრისგან დამზადებული სპეციალური ნივთიერება) ამზადებდნენ. წამწამებს მურით იღებავდნენ, მათ დასაფიქსირებლად კი ფიჭვის ფისისა და კვერცხის ცილის ნარევს ხმარობდნენ. ამავე პერიოდს განეკუთვნება ძალზე საინტერესო ნაშრომი `ტრაქტატი სილამაზის შენარჩუნების შესახებ`, რომელიც იმ დროისთვის ცნობილ კურტიზან ქალს, ასპაზიას ეკუთვნოდა. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მანამდეა შედგენილი კლეოპატრას წერილობითი რეკომენდაციების კრებული, სახელწოდებით `მალამო კანისთვის`, რაც თავის სწორად მოვლას ეხება. ეს წარმოადგენს რამდენიმე მეტრის სიგრძის პაპირუსს, რომელზე განთავსებული რჩევებიც კოსმეტიკის სამყაროში დღესაც პოპულარობით სარგებლობს.

თუმცა, ეს რჩევები მაინც ზოგადია და მიზნად ისახავს ქალბატონებისთვის თავის მოვლის შესახებ ელემენტარული ინფორმაციის მიწოდებას. აი, რამდენიმე რჩევა:

– თმები უფრო სქელი გვექნება, თუ გამოვიყენებთ წვრილად დაჭრილი ღორის ქადასგან (მცენარეა) მომზადებულ ნიღაბს;

- შავი გაზელის (ცხოველია) დანაყილი რქებისა და ზეითუნის ზეთის ნარევი კარგია საფეთქლებთან გაჩენილი ჭაღარებისთვის. რქა შეგვიძლია შევცვალოთ ვირის ღვიძლით.
- სხეულიდან არასასურველი თმების მოსაშორებლად საჭირო პასტის მომზადების წესი: ფრინველის სკორეს შევურიოთ წვრილად დაქუცმაცებული ცხოველის ძვლები, ნეკერჩხლის წვენი, მუხის ფისი და გახეხილი კიტრი~.

კრემი ნაოჭებისთვის გამოიგონა ათენელმა ჰეტერა ქალმა, ფრინამ. კრემის შემადგენლობაში შედიოდა მდედრი ვირის რძე. ცნობილია, რომ ნერონის მეუღლე, პოპეა ვირის რძისგან მომზადებული აბაზანებით სარგებლობდა. როდესაც პოპეა სადმე მიემგზავრებოდა, ყველგან თან მიჰყავდა მდედრი ვირების ჯოგი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინგრედიენტი კოსმეტიკაში დღემდე გამოიყენება.

ჩინეთის იმპერატორთა მეუღლეები კი ახალგაზრდულ კანს იმით ინარჩუნებდნენ, რომ დღეში ორჯერ სახეზე მასაჟს იკეთებდნენ ნატურალური აბრეშუმის ნაჭრით. ბოლო პერიოდში, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აბრეშუმის სახეზე ზემოქმედების დროს წარმოიქმნება სტატიკური ელექტრობა, რომელიც ასტიმულირებს კანის რეგენერაციას.

რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, მხოლოდ ქალებს როდი შეჰქონდათ თავიანთი წვლილი კოსმეტოლოგიის განვითარებაში. ამ თემის მიმართ არ სწავლული მამაკაცები იყვნენ გულგრილი. მაგალითად, ცნობილი ჰიპკრატე ამზადებდა განსაკუთრებულ კრემებს და სამედიცინო საშუალებებს არა მარტო ნაოჭების გასაშლელად და დამჰკნარი კანის გასაახალგაზრდავებლად, არამედ პირიდან ცუდი სუნის გასაქრობადაც. თუმცა, მისი რეცეპტები დღეს ცოტა უცნაურად და არაცივილიზებულად გამოიყურება: ახალგაზრდული იერის შესანარჩუნებლად, უნდა გამოვიყენოთ ზეითუნის ზეთის, წითელი ღვინისა და ხვლიკის

ღვიძლის ნაზავი. შესაძლებელია ამ რეცეპტის ადაპტირება, თუ ამოვიღებთ ღვიძლს.

უძველესი დროიდან, დიდი ყურადღება ეთმობოდა დეკორატიულ კოსმეტიკასაც. ძველ ეგვიპტეში უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა, თუ ადამიანი ხალხში შეღებვის გარეშე გავიდოდა. ეგვიპტურ მაკიაჟში განსაკუთრებული ყურადღება თვალებს ექცეოდა: თვალეზზე სპეციალური ჩხირით და სქელი შავი სითხის მეშვეობით, კონტურს იკეთებდნენ. ამავე მიზნით საუკუნეების მანძილზე მწვანე ფხვნილსაც იყენებდნენ. სახისთვის ტონალობის მისაცემად ხმარობდნენ ყვითელ და წითელ ჟანგმიწას.

ჯერ კიდევ შორეულ დროში გამოიგონეს სპეციალური ინსტრუმენტები და საშუალებები საკუთარი თავის მოსავლელად და გასალამაზებლად. დედოფალ ხათშეფსუტის სამარხის გათხრისას აღმოჩნდა მთელი სილამაზის სალონი: უამრავი ჭურჭელი არომატული ზეთებით, საღებავები, ნიღბები, მოწყობილობა თმის დასახვევად, პემზა და საღებავი ფეხის ფრჩხილებისთვის.

ხანგრძლივი ისტორიისა და მდიდარი გამოცდილების მიუხედავად, შუა საუკუნეების ევროპაში კოსმეტიკა სერიოზულ შევიწროებას განიცდიდა: მას სატანის გამოგონებად თვლიდნენ და ანათემასაც კი გადასცეს. თუმცა, ამ ფაქტმა მისადმი ინტერესი ვერ გააანელა. ეს მეცნიერება განაგრძობდა მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა გონებისა და გულის დაპყრობას. აღსანიშნავია, რომ ევროპამ უდიდესი წვლილი შეიტანა კოსმეტიკის განვითარებაში.

მაკიაჟის გაკეთების ტექნიკა მე–16 საუკუნეში იმდენად გართულებული იყო, რომ ამ მიზნით მხატვრებსაც კი იწვევდნენ. ბუნებრივია, აქ ყოველდღიური მაკიაჟი არ იგულისხმება. ეს იყო ხანგრძლივ დროზე გათვლილი მაკიაჟი. იმ დროს მიღებული არ იყო პირის დაბანა; ასე რომ, სახე საღებავს დიდხანს ინარჩუნებდა.

სწორედ ამ ტრადიციამ ჩაუყარა საფუძველი პერმანენტულ, ყოველდღიურ მაკიაჟს.

იმ დროს პირადი ჰიგიენის საკითხი სათანადო დონეზე არ იდგა. არა მარტო პირის დაბანა, არამედ აბაზანების მიღებაც იშვიათი მოვლენა იყო. ცდილობდნენ, ბინძური სხეულის არასასიამოვნო სუნი წარმოუდგენელი რაოდენობის, სხვადასხვა არომატული საშუალების მეშვეობით ჩაეხშოთ. დიდებულებს შორის დიდი მოთხოვნა იყო სუნამოებზე, პუდრასა და ტუჩსაცხებზე.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ კოსმეტიკის თანამედროვე ისტორია მოიცავს და სათანადო ადგილზე აყენებს კოსმეტიკის პრინციპებს, რომლებიც ძველ მსოფლიოსა (პირველ რიგში – თმისა და კანის მოვლა) და შუა საუკუნეებში (~ სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს~) ჩამოყალიბდა.

პარაფარმაციის მიმართულების განვითარება

ამ ბოლო დროს ფარმაცევტული კომპანიები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პარაფარმაციის მიმართულების განვითარებას. მოსახლეობაში შემოსავლების მატება მოთხოვნას ზრდის თავის მოვლის ძვირ და ხარისხიან საშუალებებზე. შესაბამისად ეს მიმართულებაც შედარებით აქტიურად ვითარდება და იაფ, ცნობილ მწარმოებლებს სულ უფრო ჩაენაცვლებიან შედარებით ძვირი, ექსკლუზიური, კონკრეტულ პრობლემებზე მიმართული თავის მოვლის საშუალებები. სწორედ ამიტომ, ფარმაცევტული კომპანიები სულ უფრო მეტ ადგილს უთმობენ საკუთარ აფთიაქებში ამ კატეგორიის პროდუქციას. თუმცა სწორედ ამ პროდუქტების გაყიდვების დიდი ნაწილი ქსელური მარკეტინგის კომპანიებზე მოდის. ეს ხელს უშლის აფთიაქებში მათი გაყიდვების ზრდას.

სავარაუდოა, რომ ფარმაცევტული კომპანიებისათვის მომგებიანი უნდა იყოს თავის მოვლის საშუალებების გაყიდვა სააგენტო ქსელების მეშვეობით, სადაც მთავარი პარტნიორები მათთვის სტილისტები გახდებიან. მათთან ზუსტად იმავე მიდგომებით მუშაობა, როგორც ეს კომპანიები ექიმებთან მუშაობენ, არანაკლებ ფინანსურ შედეგებს გამოიღებს.

საჭირო იქნება სილამაზის სალონებში აქტური მუშაობა, გრძელვადიანი სტიმულირების სქემის ჩამოყალიბება სტილისტებთან ურთიერთობისათვის, მათი სწავლება და სხვადასხვა მორალური წახალისება იმისათვის, რომ ისინი სტაბილური და მოტივირებული სთავაზობდნენ საკუთარ მუდმივ კლიენტებს ამ კონკრეტულ პროდუქციას.

როგორც წესი, ყოველი სტილისტი 50 დან 200 მდე სტაბილურ კლიენტს ემსახურება. მათთან ის ნდობით სარგებლობს და მისი რჩევები თავის მოვლის საშუალებებთან დაკავშირებით მათთვის უყურადღებოდ არ დარჩება.

ფარმაცევტული კომპანიებისათვის სტილისტებთან თანამშრომლობის მთავარი სირთულე მათი დამსახურების აღრიცხვა იქნება. ექიმებისგან განსხვავებით რთულია დაითვალო კონკრეტულად რომელი სტილისტის რეკომენდაციით ყიდულობს მომხმარებელი საქონელს. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ისევ ბარათები გამოდგება, თუ სტილისტი მოახერხებს და მის მუდმივ კლიენტებს ლოალობის ბარათს ააღებინებს. მის ნომერს დაარეგისტრირებს, როგორც საკუთარი მუდმივი კლიენტის. ეს კომპანიას მისცემს საშუალებას, რათა ამ კონკრეტულ ბარათზე განხორციელებული მთალიანი ვაჭრობიდანაც წახალისოს სტილისტი და კონკრეტული პროდუქტების გაყიდვებიდანაც.

ადამიანი თავისი განვითარების ყველა ეტაპზე მუდმივად ეძებდა სილამაზის საიდუმლოს, სხეულის დაცვის, პირ-სახის მოვლა-გალამაზების საშუალებებს, რომლებიც დროთა განმავლობაში

უმჯობესდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ასე შეიქმნა არაერთი ჰიგიენური წესი თუ კოსმეტიკური ნორმა.

ძველად ჰიგიენის დასაცავად და საოჯახო მოთხოვნილებისათვის ჭის, წვიმის, წყაროსა და მდინარის წყალს იყენებდნენ. ხალხში გავრცელებული იყო რწმენა თმის მოსავლელად "7 მაისის წვიმის წყლის" განსაკუთრებული სარგებლობის შესახებ. სწამდათ, რომ "7 მაისის წვიმის წყალი" ხელს უწყობდა თმის ზრდას, მის სიხშირეს. ხშირი თმა განსაკუთრებით ფასობდა.

ოდითგანვე ქალი თავის მოვლას თმიდან იწყებდა, თმის ჰიგიენაში კი იგულისხმებოდა დაბანა, შეღებვა და მკურნალობა. თმის დასაბანად გამოიყენებოდა მარილით გაჯერებული წყლის ნაზავი, ნახდის წვენი, არყის ქაფი, მახოხი, ხაშით აფუებული, მოზელილი და დამჟავებული ცომის ნაჟური, ტყემალი, ტყემლის ნახარში და მისგან დამზადებული ტყლაპი, ასევე რძე და რძის ნაწარმი.

მართალია, 21-ე საუკუნეში აღარ ვიყენებთ თმის მოვლის ამ საშუალებებს, და მით უფრო "7 მაისის წვიმის წყლით" დაბანის ტრადიციაც წარსულს ჩაბარდა, მაგრამ არც ის შეგვიძლია დამაჯერებლად აღვნიშნოთ, რომელსაც ცნობილი მწარმოებლები გვთავაზობენ ყველაფერი კარგი და ამავე დროს ყველაფერი ეფექტურია. შესაბამისად, თმის ცვენა, ქერტლი, თმის ცხიმინობა ან სიმშრალე, ამ პრობლემებს უკვე ყოველი მეორე ადამიანი უჩივის, სპეციალისტები კი თმის ამგვარ დაზიანებას ცუდად შერჩეულ და უხარისხო შამპუნს უკავშირებენ. მაგალითად, ისეთი შამპუნები, რომლებიც განკუთვნილია ყველა ტიპის თმისათვის, როგორც წესი არ შეიცავს არავითარ თმის მომვლელ საშუალებებს, პირიქით აცლის მას ჯანმრთელობას და ძალას. გარდა ამისა, შამპუნები, რომლებიც არის ქერტლის საწინააღმდეგო, შეიცავს აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც განსაკუთრებით შეღებილ თმაზე უარყოფითად მოქმედებენ, ფერი მალე გადადის და ხუნდება. სპეციალისტების მტკიცებით, ეს ყველაფერი განპირობებულია იმით, რომ დღეს მაღაზიები და სუპერმარკეტები უხარისხო შამპუნებითაა გადავსებული.

მომხმარებელი დაბნეულია, რომელი მწარმოებლის პროდუქტი შეიძინოს, რადგან ერთი და იგივე სახის პროდუქციის ღირებულება ბაზრობებსა და სუპერმაკეტებში საგრძნობლად განსხვავებულია. ამასთან, ანალოგიური პროდუქცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ ძვირია. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს რამდენიმე ფაქტორი: საქართველოში იმპორტირებული თავის მოვლის საშუალებები არ კონტროლდება, არ ხდება მისი შემოწმება, ჩვენი მაღაზიების ქსელში არსებული ცნობილი ბრენდების პროდუქცია მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის მზადდება, ფასიც დაბალია და შესაბამისად, ხარისხიც.

გასათვალისწინებელია ერთი დეტალი, ზოგიერთ პროდუქციას ჩვენთან ამზადებენ საწარმოო პირობების დაცვის გვერდის ავლით და შემდეგ ბრენდების შეფუთვით ნიღბავენ.

ამ ფონზე, სპეციალისტები გვირჩევენ, რომ თმის მოვლის საშუალებები ისეთივე სიფრთხილით შევარჩიოთ, როგორც აფთიაქში წამალი. აუცილებელია გავეცნოთ მის შეფუთვაზე არსებულ ინსტრუქციასა და შემადგენლობას.

"დღეს ეს ნორმები ჩვენთან დაცული არ არის, პროდუქციის უმრავლესობას შემადგენლობა ე.წ. ინგრედიენტები მითითებული არ აქვს, ასევე არც ის თუ რომელ დეტერგენტზეა დამზადებული. მწარმოებელს მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავს, როდესაც სთავაზობს უნივერსალური ტიპის დასაბან საშუალებას, მაგალითად, შამპუნს მთელი ოჯახისათვის. ეს წარმოუდგენელია. ეს იმას ნიშნავს რომ ეს პროდუქცია იაფ ინგრედიენტებზეა დამზადებული და უხარისხოა, ასეთი შეთავაზებით კი მწარმოებელი მოხმარებელს ატყუებს." - , არსებობს 6 ტიპის დეტერგენტი, რომელზედაც შამპუნი მზადდება: Ammonium Lauryl Sulfate, Ammonium Laureth Sulfate, Sodium Lauryl Sulfate, Sodium Laureth Sulfate, TEA Lauryl Sulfate, TEA Laureth Sulfate- აქედან პირველი სამი საუკეთესოა, ხოლო დანარჩენი უხარისხო და იაფფასიანი, შესაბამისად ეფექტიც დაბალია. გარდაამისა, შამპუნი უნდა იყოს მიზანმიმართული სხვადასხვა სახის თმის მოვლისთვის და მისი მკურნალობისთვის, მათ შორის, თმის ცვენის საწინააღმდეგო, ქერტლის საწინააღმდეგო, დაზიანებული, სუსტი, მსხვრევადი, მშრალი, ნორმალური თმისთვის განკუთვნილი.

ცნობისათვის, ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნის შემადგენლობაში აუცილებელია იყოს პიროქტონ ოლამინი, ასევე ალანტოინი და პანთენოლი, რომლებიც მკვებავი საშუალებებია, ხოლო მშრალი და მსხვრევადი თმისთვის განკუთვნილი შამპუნი უნდა შეიცავდეს; აღმდგენ და მკვებავ ნივთიერებებს, როგორცაა: ფერულის მჟავა, , გვირილა, ჟოჟობას ზეთი. მნიშვნელოვანია, რომ ეს შემადგენელი ნივთიერებები ასახული იყოს შამპუნის შეფუთვაზე, მასთან ერთად ყველა ის ქიმიური დანამატებიც, რომელსაც პროდუქცია შეიცავს.

სპეციალისტები, როდესაც თავის მოვლის საშუალებების ხარისხზე საუბრობენ, მის ეფექტურობას იმ ქვეყნის წყლის უნიკალურობასაც უკავშირებენ, სადაც ეს პროდუქცია იწარმოება. "წყალი პროდუქციის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ყველა ქვეყანაში წყლის ხარისხი განსხვავებულია. აქედან გამომდინარე სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია ხარისხით შესაძლოა განსხვავდებოდეს, და მისი გამოყენებისას ეფექტიც განსხვავებული იყოს. მაგალითად, ფრანგები წყალში დასარბილებლად ძმარს ურევენ, რადგან იქაური წყალი ხისტია. საქართველო მდიდარია უნიკალური წყლებით და აქ წარმოებული პროდუქცია ამ უნიკალური ნიშნითაა გამორჩეული. მთავარია მწარმოებელმა მინარევები მიზანმიმართულად შეარჩიოს და მომხმარებელს ეს არ დაუმალოს," - მიაჩნია ექსპერტს.

დასასრულს, სპეციალისტები შამპუნის შერჩევის რამდენიმე აუცილებელ წესს გვთავაზობენ, რომელსაც უნდა მისდიოთ, რომ თმა გქონდეთ ჯანსაღი და ეფექტურმა რეკლამებმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ: გამოიყენეთ მხოლოდ თქვენი თმის ტიპის შესაბამისი შამპუნი, უნივერსალური პროდუქცია - ასეთი რამ თითქმის არ არსებობს! არ არის სასურველი ზემდეტი არომატიზებული შამპუნების გამოყენება, თუ მწარმოებელი აქცენტს მასზე აკეთებს, ეს იმის მანიშნებელია, რომ ის კიდევ ერთ უარყოფითი თვისებების მქონე ქიმიურ დანამატს შეიცავს, შამპუნის შემენისას ყურადღება მიაქციეთ შემადგენლობას (ინგრედიენტებს) და მწარმოებელი ქვეყნის კოდს.

თმები

ტერმინი – თმის ტიპები გულისხმობს: მშრალ, ნორმალურ, ცხიმიან, შერეულ, ასევე – რბილ და უხეშ, სქელ და თხელ, ჯანმრთელ და გამოფიტულ თმებს. თმის სწორი და ეფექტური მოვლისთვის, აუცილებელია, ზუსტად განვსაზღვროთ, რა ტიპის თმა გვაქვს და ამის მიხედვით მოვუაროთ მას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს მისი დაზიანების რისკი. თმების ცხიმიანობას კანის ტიპი განსაზღვრავს: თუ კანია ცხიმიანი, თმაც ცხიმიანია და პირიქით – მშრალ კანზე თმაც მშრალია. ნორმალური კანი ზომიერად ცხიმიანია; იგი არაა მშრალი, შესაბამისად – არ იქერცლება, არ აქვს მსხვილი ფორები და ფერიმჭამელები. ცხიმიანი კანი დაფარულია კანის ქონის სქელი ფენით და ახასიათებს სპეციფიური ცხიმოვანი ბზინვარება. ასეთ კანს გააჩნია ფართო ფორები. მშრალი კანი კი ხშირად იქერცლება, იფიტება და ღიზიანდება. თუმცა, ყველაზე ხშირად გვხვდება შერეული ტიპის კანი (რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს შერეული ტიპის თმებთან).

თმის ცხიმიანობა დამოკიდებულია ცხიმოვანი ჯირკვლების აქტიურობაზე, რომელიც ინდივიდუალურია და გენეტიკურად ყალიბდება. გარდა ამისა, კანის ქონის გამომუშავება გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორ ვიკვებებით, რა რაოდენობით ვიღებთ ცხიმებსა და ნახშირწყლებს.

ცხიმიან თმებს ახასიათებს მკრთალი ბზინვა. დაბანიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, თმები ერთმანეთს ეწებება და ისე ჩანს, თითქოს ჭუჭყიანი იყოს. ასეთი ტიპის თმებს ხშირად ცხიმოვანი ქერტლი უჩნდება.

ნორმალური თმები კარგად ირეკლავს შუქს და მზეზე ბზინავს. თუ თავის დაბანიდან რამდენიმე დღის შემდეგაც ინარჩუნებს თქვენი

თმები ამ თვისებას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ნორმალური ტიპისაა. ამ ტიპის თმები ელასტიურობითაც გამოირჩევიან; ისინი თითქმის არ იმტვრევა და ადვილად ივარცხნება იმის მიუხედავად, მშრალია თუ ნოტიო.

მშრალი თმა სხვის ცუდად ირეკლავს. შედეგად, ბზინვა არ ახასიათებს. ადვილად ცვივა, იჩეჩება, ძნელად ივარცხნება და ბოლოებში იმტვრევა. საკმაოდ ხშირად თან სდევს მშრალი, წვრილი ქერტლი. არცთუ იშვიათად, მშრალი თმა არასწორი მოვლის შედეგია და არა – ცხიმოვანი ჯირკვლების დაბალი აქტიურობისა.

რაც შეეხება შერეული ტიპის თმას, იგი, როგორც წესი, ძირებში ცხიმია, დაბოლოებებში კი – მშრალი. საქმე ისაა, რომ მთელ სიგრძეზე იგი ცხიმით თანაბრად არ იპოხება. ასე რომ, იგი დაბოლოებებში ხშირად იმტვრევა.

რით გამოირჩევა გამოფიტული თმა? როგორც წესი, იგი ხორკლიანია, მალე კარგავს ბზინვარებას და ნაკლებ დამჯერია. თუ ამგვარი ცვლილებები თქვენს თმას მოულოდნელად შეამჩნიეთ, დაუყოვნებლივ უნდა მიხედოთ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თმის გარკვეული ცვლილებები მუდმივად მიმდინარეობს და მათი შემჩნევა მიკროსკოპით შეიძლება.

განასხვავებენ თმის სამ სახეობას – ღინღლისებრი, ჯაგრისებრი და გრძელი. ამას გარდა, არსებობს გარდამავალი სახის თმებიც, რომელიც ადამიანს ზრდა-განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ახასიათებს. ღინღლოვანი თმა ფარავს ხელების, ფეხებისა და ტანის კანს.

ღინღლოვანი თმა რბილი და მოკლეა (დაახლოებით 1,5 მილიმეტრის სიგრძის), არ შეიცავს პიგმენტებს. სხვათა შორის, ეს პირველი თმაა, რომელიც ნაყოფს მუცლადყოფნისას უვითარდება. დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე კი ნაყოფს უკვე პიგმენტირებული თმა ეზრდება. დაბადებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში,

ადამიანს უყალიბდება ე.წ. შუალედური თმა, რომელსაც სქესობრივი მომწიფების პერიოდში თანდათან ცვლის ე.წ. ტერმინალური თმა. ამ ორი სახეობის თმის ფერი ხშირად არც კი ემთხვევა ერთმანეთს. ამასთან, ტერმინალური თმა გაცილებით უფრო მჭიდროდ არის განლაგებული.

წარბები, წამწამები და ბეწვები, რომელიც ნესტოებში იზრდება, ჯაგრისებრ თმას მიეკუთვნება. ისინი საკმაოდ უხეში, პიგმენტირებული და მოკლეა. ადამიანებს სიბერეში სახეზე ეს თმა კიდევ უფრო ეზრდება, განსაკუთრებით – მამაკაცებს.

გრძელი თმა იზრდება თავზე, სახეზე (წვერის სახით), მკერდზე, ილიებზე და გარე სასქესო ორგანოებთან. თავზე ამოსული თმა განვითარების რამდენიმე ეტაპს გადის: მათი ზრდა შესამჩნევია 2–3 წლის ასაკში; სქესობრივი სიმწიფის პერიოდში კი თმა იღებს საბოლოო სახეს. ამავე პერიოდში შუბლსა და ილიებში თმა ხდება უფრო სქელი და დახვეული. ჩვეულებრივ, ტანზე თმის განაწილებას განაპირობებს სქესი, ასაკი და ეროვნული წარმოშობა.

თმის ფორმა დამოკიდებულია ფოლიკულების ფორმასა და სივრცულ განლაგებაზე, თმის ღეროს შემადგენელი კერატინის კომპოზიციაზე, რასობრივ ფაქტორსა და რა თქმა უნდა, ადამიანის გენეტიკურ ნიშან-თვისებებზე. ზოგადად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თმის ფორმა მისივე ძირის ფორმაზეა დამოკიდებული.

განასხვავებენ თმის ფორმის სამ სახესხვაობას: გლუვი და სწორი (1–3წწ), ტალღოვანი (4–6) და ხუჭუჭა (7–9), რომელიც ყველაზე ხშირად ნეგროიდული რასის წარმომადგენლებში გვხვდება.

თავის მხრივ გლუვი თმაც რამდენიმე სახეობად იყოფა: ბრტყელტალღოვანი (მჭიდრო, გლუვი და ტალღოვანი), განიერტალღოვანი, ვიწროტალღოვანი, დაკუთვნილებული, ხუჭუჭა

(დახვეული, სუსტად დახვეული, ძლიერდახვეული, სუსტად სპირალური, ძლიერსპირალური).

გლუვი თმის გადაჭრისას შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ იგი მრგვალია და ამასთან, ტალღოვან ოვალსა და ხვეულ ოვალს ქმნის.

თმა სცვივა არა მარტო მამაკაცებს ასევე ქალებსაც და შესაძლებელია თმა ბავშვსაც გასცვივდეს. თმის ცვენაში იგულისხმება გადაჭარბებული თმის ცვენა. ამ დროს თმა იმაზე მეტი ცვივა ვიდრე ამოდის. ყოველდღიურად გაცვენილი თმის ღერი 100-ს აჭარბებს.

ალოპეცია – ეს არის გამელოტება თმის გაძლიერებული ცვენის შედეგად. ალოპეცია სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნის, მაგრამ ფსიქიკურ დისკომფორტს, ზოგჯერ – აშლილობასა და ადამიანის სოციალურ იზოლაციას იწვევს. ამას შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს. თმის ცვენის მრავალი სახე არსებობს. განასხვავებენ ორი ტიპის ალოპეციას: ნაწიბუროვანს, რომელიც გამოწვეულია ანთებითი პროცესების, კანის ატროფიის ან დანაწიბურების შედეგად თმის ფოლიკულების განადგურებით და არანაწიბუროვანს. ამ უკანასკნელ ტიპს მიეკუთვნება ბუდობრივი, ანდროგენული და დიფუზური ალოპეცია.

ანდროგენური ალოპეცია

ყველაზე ხშირია ანდროგენური ალოპეცია, განსაკუთრებით კი მამაკაცებში. გამელოტების დასაწყებად იმ მაკაცებში, რომლებიც გენეტიკურად წინასწარგანწყობილნი არიან გასამელოტებლად, საკმარისია ანდროგენების ნორმალური დონე. ანდროგენური ალოპეცია განპირობებულია ორი ეტიოლოგიური ფაქტორის შერწყმით. ეს ფაქტორებია ანდროგენები და ტესტოსტერონები – მამაკაცური სასქესო ჰორმონები. ისინი შუბლისა და თხემის არეში არსებულ გენეტიკურად სუსტ თმის “ძირებზე” – ფოლიკულებზე ზემოქმედებენ, რის შედეგადაც მათდამი მგრძნობიარე ფოლიკულები ილუპებიან და გაიწოვებიან. მიუხედავად იმისა, რომ ჰორმონალური ფონი ყველა მამაკაცს ახასიათებს, მას კარგავენ

მხოლოდ ისინი, ვინც გენეტიკურად არიან მიდრეკილნი თმის ცვენისადმი. კეფის და საფეთქლის არეში ყოველთვის რჩება თმის გარკვეული მარაგი. საქმე იმაშია, რომ აქ განლაგებულ თმის ფოლიკულებს არ გააჩნიათ რეცეპტორები ტესტოტერინის მიმართ, ამიტომ ისინი გაცვენის ფაქტორებისადმი მდგრადი რჩებიან.

საჭურისები არ მელოტდებიან!

ძირითადი კლინიკური ნიშანი, რაც საერთოა მამაკაცებისა და ქალებისთვისაც, არის ტერმინალური თმის შეცვლა უფრო თხელი, ნაკლებად პიგმენტირებული თმით.

ანდროგენური ალოპეციის მკურნალობისას, ქირურგიული კორექციის დროს ხდება ანდროგენების მოქმედებისადმი მდგრადი თმის ფოლიკულების გადანერგვა კეფის მიდამოდან გამელოტებულ ადგილზე.

ანდროგენური ალოპეციის სიხშირემ 18-49 წლის მამაკაცებში 2000 წელს შეადგინა 54%. 25-50 წლის წინ კი 33%-ს არ აღემატებოდა. დღეისათვის ალოპეცია ინარჩუნებს ტენდენციას გავრცელებისკენ და გაახალგაზრდავებისკენ. ზოგიერთი ავტორის მონაცემებით მისმა სიხშირემ უკვე 70%-ს მიაღწია. ანდროგენური ალოპეცია სულ უფრო ხშირად გვხვდება ქალებშიც-იგი 50 წელს ზემოთ ქალების 30%-ს აწუხებს.

ბუდობრივი გამელოტება განსხვავდება იმით, რომ ხასიათდება მკვეთრად შემოსაზღვრული მომრგვალებული გამელოტებული კერების გაჩენით. მიზეზი შესაძლებელია იყოს ავტოიმუნორეაქცია. უფრო იშვიათად ხდება დიფუზიური თმისცვენა. მიზეზი თმისცვენის ამ იშვიათ ფორმის ძირითადად არის ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია რომელსაც იწვევს გარკვეული მედიკამენტები, სტრესი ან არაჯანსაღი კვება.

თმის ცვენის დიაგნოზი ადგენენ ავადმყოფობის ისტორიით, კლინიკური გამოკვლევებით, ასევე შესაძლოა ლაბორატორიული

გამოკვლევების ჩანაწერებითაც დადგინდეს. თერაპიას მიმართავენ თმის ცვენის მიზეზის შესაბამისად.

თმის ბუდობრივი ცვენა დედამიწის მოსახლეობის 1,7%-ს აწუხებს.

დიაგნოსტიკა. პაციენტის დათვალიერების შედეგად დგინდება თმის ცვენის ტიპი, ობიექტური გამოკვლევის, ტრიქოგრამის შედეგად ფასდება ანაგენ/ტელოგენის ინდექსი (ანაგენში მყოფი თმის ფოლიკულის რაოდენობის შეფარდება ტელოგენში მყოფ ფოლიკულის რაოდენობასთან). თხემის არეში გამოკვლეული თმების უმრავლესობა ტელოგენის ფაზაშია, ხოლო კეფაზე აღებულ თმებში ანაგენ/ტელოგენის ინდექსი ნორმაა.

მკურნალობა. თმის ცვენის დროს მიმართავენ მკურნალობის სხვადასხვა საშუალებებს. იგი შესაძლოა შესაბამისად შემდგომისდაგვარად შევაჩეროთ თუმცა სრულიად ვერ აღვადგენთ. ხოლო გაცვენილი თმის აღდგენის ერთადერთი საშუალება თმის გადანერგვაა.

ჯანმრთელი, მოვლილი თმა ხაზს უსვამს ადამიანის სილამაზეს. თავის კანის ნორმალური მდგომარეობის დარღვევა – ზედმეტი სიმშრალე თუ ჭარბი ცხიმინობა, თმის უეცარი დაცვენა, ქერტლი და სხვა ორგანიზმში მიმდინარე ზოგად ცვლილებებზე მიუთითებს.

თავის კანი და თმა იკვებება იმავე საკვებით, რითაც სხეულის თითოეული უჯრედი. თუმცა ზოგიერთი საკვები კი არ კვებავს ორგანიზმს, პირიქით უარყოფითად მოქმედებს მასზე. თავის კანისა და თმის დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს მრავალმა მიზეზმა: უხარისხო საკვებმა, სისხლის მიმოქცევის მოშლამ, ნერვულმა დაძაბულობამ და სხვა. თმაზე დიდი გავლენა აქვს გარეგან ფაქტორებსაც, როგორცაა: თმის უხეში ვარცხნა, გადახურება, სიცივე, ქიმიური შამპუნებისა და საღებავების გამოყენება.

თავის კანის ერთერთი პრობლემა ქერტლია. თავის კანის ზედა ფენის აქერცვლა და განახლება მუდმივად ხდება. ამ მკვდარ და აქერცლილ უჯრედებს უწოდებენ ქერტლს. თავის კანის ცხიმოვანობის მიხედვით ქერტლი არის მშრალი და ცხიმოვანი.

ქერტლი სკალპის კანის მკვდარი უჯრედების აქერცლის უფრო ინტენსიური ფორმაა. ჩვეულებრივ სკალპი მკვდარ უჯრედებს იცილებს 28 დღეში ერთხელ. როდესაც კანის აქერცვლა ხდება 4 – 5 დღეში ერთხელ, ეს უკვე პრობლემაა. თანაც ქერტლის ზომაც დიდია. თუ ბევრი ქერტლი გაქვთ ეს შეიძლება იყოს სეზონის (ცხიმის ჯირკვლების ფუნქციის დარღვევა) ან ფსორიაზის (კანის ქრონიკული დაავადება) ერთ -ერთი ფორმა.

თანამედროვე მედიცინა ქერტლის გაჩენის ძირითად მიზეზად სოკოს ასახელებს, თუმცა, კანის სერიოზულმა დაავადებებმა ასევე შეიძლება ქერტლის წარმოქმნა გამოიწვიონ. ქერტლის წარმოქმნას ხელს უწყობს კანში ცხიმის გამომუშავების დარღვევა, რაც გვხვდება საჭმლის მომნელებელ ტრაქტთან დაკავშირებული პრობლემების, ჰორმონული ძვრების, სტრესების, ქრონიკული ინფექციების, იმუნიტეტის დაქვეითების, ვიტამინების ნაკლებობის დროს. მას ხელს უწყობს ორგანიზმის მემკვიდრეობითი თავისებურებებიც.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დედამიწის მოსახლეობის 30 %-ს თავის კანზე ქერტლი აქვს, ხოლო 50 %-ს ეს სნეულება ერთხელ მაინც აწუხებდა.

ქერტლისგან სწრაფად განთავისუფლება შეუძლებელია. რეგულარულად მკურნალობის შემთხვევაში ეფექტური შედეგი მხოლოდ ერთ ორ თვეში ვლინდება.

ერთი შეხედვით შესაძლოა, თქვენი თმა ჯანმრთელად და ლამაზად გამოიყურებოდეს, მაგრამ შეიძლება მრავალი პრობლემა გქონდეთ მოსაგვარებელი – დარღვეულია თმის სტრუქტურა, გაყოფილია

თმის ბოლოები, თმა მშრალი და მტვრევადია, დაკარგული აქვს ტენიანობა და დრეკადობა და ა. შ.

ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ეკოლოგია, კვება, ხისტი წყლის ზემოქმედება, ზაფხულში მზის მცხუნვარე სხივების, ხოლო ზამთარში ყინვის მავნე გავლენა. ასევე არასწორად შერჩეული შამპუნი ან ბალზამი, სავარცხელი, ფენის ტემპერატურა, – ანუ ყველა ის პროცედურა, რაც თმასთან არის დაკავშირებული.

ვარცხნილობის შესაქმნელად და დასაფიქსირებლად ხშირად ვხმარობთ მუსს, ლაქს, ლოსიონს, გელს და ა.შ. ისევე, როგორც მაკიაჟს, ძილის წინ ამ საშუალებებსაც სჭირდება მოშორება. ძილის წინ თავი აუცილებლად უნდა დავიბანოთ, რადგან ეს საშუალებები ვნებს თმას, თავის კანს, თმის ბოლქვს.

თმის ფოლიკულში გახსნილი ცხიმი თმას ელასტიკურობას, დრეკადობასა და ბზინვარებას სძენს, ამასთანავე, ის თმის გაჭუჭყიანების მთავარი ფაქტორიც არის – სწორედ გაცხიმოვნებულ თმას ეკვრის ყველაზე მეტად მტვრის ნაწილაკები და ბზინვარებასა და მშვენიერებას უკარგავს.

თმები დაიბანეთ კვირაში 1- 2 ჯერ. თუმცა დაბანვის სიხშირე. თმის სახეობაზეცაა დამოკიდებული. მშრალი თმა სასურველია კვირაში ერთხელ დავიბანოთ. თმის ბანვის დროს არ დაგავიწყდეთ გაიკეთოთ თავზე მასაჟი. შამპუნი ჩამოიბანეთ თბილი წყლით, ეს თმებს მეტ ბზინვარებას შემატებს. რეკომენდებული არ არის ძილის წინ თავის დაბანა, რადგან დაწოლის დროს ნამიანი თმა ბალიშთან ხახუნის შედეგად ზიანდება. არსებობს თმის მოვლისთვის განკუთვნილი ნიღბები. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს.

თმის დაბანის შემდეგ გაიკეთეთ შემდეგი თმის ნიღაბი: (1 კვერცხის გულში ასრისეთ 1 ჩაის კოვზი აბუსალათინის ზეთი, 1 ჩაის კოვზი ძმარი, 5 – 5 წვეთი A, D და E ვიტამინები); მსუბუქი მასაჟით

კარგად შეიზილეთ თმის ძირებში, გაიჩერეთ ნახევარ საათი და შემდეგ ისევ ათქვეფილი კვერცხის გულით ჩამოიბანეთ. ბოლოს კი ცხელი მაკრატლით შეიჭერით დაზიანებული ბოლოები.

ფენი უნდა ჩართოთ საშუალო სიმხურვალეზე და თმიდან 25-30 სმ-ის დაშორებით დაიკავოთ. აუცილებლად დაარეგულირეთ ფენის ტემპერატურის რეჟიმი, რადგან ძალიან ცხელი ორთქლი გამოაშრობს და მტვრევადს გახდის თმის ღეროებს. ერთ ადგილზეც ნუ გაიჩერებთ დიდხანს. თუკი სქელი და უხეში თმა გაქვთ, ეცადეთ არ გაიშროთ ფენით. სჯობს, თუ დრო გაქვთ, იაროთ სველი თმით, სანამ თვითონ არ შეშრება და მხოლოდ შემდეგ მოიყვანოთ იგი სასურველ ფორმაზე.

ხშირად დაივარცხნეთ თმები, აუცილებელია, სწორად შეარჩიოთ სავარცხელი. ყველაზე სასურველია ხის ხშირი სავარცხელი. თუ თქვენ გრძელი თმა გაქვთ, უმჯობესია შეიძინოთ ნატურალურბეწვიანი ჯაგრისი. თუ გსურთ თმა სწრაფად გაიზარდოს, გამოიყენეთ მასაჟის გასაკეთებელი ჯაგრისი – ის აფართოებს თავის კანის ქვეშე განლაგებულ კაპილარებს, რის შედეგადაც უმჯობესდება თმის კვება.

თმის ბოლოების შეჭრა სასურველია ყოველ 30 დღეში ერთხელ, რათა თმამ სიჯანსაღე შეინარჩუნოს და კარგად გაიზარდოს. არასასურველია სქელი და უხეში თმის დათხელება, რადგან დათხელებული თმა დაბანის დროს უფრო ფუჭდება და უარესდება.

მათ, ვისაც თხელი და ურჩი თმა აქვთ, აუცილებლად უნდა იხმარონ მუსი, რათა მოცულობა შემატოს მას, ამასთან თმა დიდხანს ინარჩუნებს სისველეს, რაც მას ბზინვარებას ანიჭებს; თხელი თმა არ საჭიროებს ბალზამს.

თმის ბალზამი __ სოიოს ლეციტინით

თმის ბალზამი სოიოს ლეციტინით იცავს თმას გამოშრობისაგან. აღადგენს თმის დაზიანებულ ზედაპირს. ანიჭებს მას სირბილესა და მოცულობას.

თმის ბალზამი __ ლუდის ექსტრაქტით

იცავს თმას გამოშრობისგან. აღადგენს მის დაზიანებულ ზედაპირს. ამარაგებს თმას აუცილებელი ვიტამინებით. ანიჭებს მას სირბილესა და მოცულობას.

ჭინჭრის შამპუნი __ ნატურალური ჭინჭრის ექსტრაქტით

ამაგრებს თმის ძირებს, ანიჭებს ბუნებრივ ბრწყინვალეობას და მოცულობას. ჭინჭრის ექსტრაქტი აუმჯობესებს თავის კანის სისხლის მიმოქცევას და ამცირებს თმის ცვენას. მიზანშეწონილია შამპუნის ყოველდღიური გამოყენება დაზიანებული, სუსტი თმის მოვლისათვის.

შამპუნი მუქი ფერის თმისთვის __ ქარვისა და მუხის ქერქის ექსტრაქტით

შამპუნი შექმნილია სპეციალურად მუქი ფერის თმის მოვლისთვის. იცავს თმას გამოშრობისაგან. აღადგენს მის დაზიანებულ სტრუქტურას. მუხის ქერქის ექსტრაქტი ანიჭებს მუქ თმას ბრწყინვალეობას. ქარვის ექსტრაქტი იცავს თმის ძირებს და ანიჭებს თმას განსაკუთრებულ სირბილეს და ელასტიურობას.

ლუდის შამპუნი __ ლუდის საფუარის ექსტრაქტით

ლუდის საფუარი წარმოადგენს B ჯგუფის ვიტამინების, პროტეინებისა და ამინომჟავების ბუნებრივ წყაროს. შამპუნი ნატურალური ლუდის საფუარით ამაგრებს დაზიანებულ თმას. ანიჭებს ბუნებრივ ბრწყინვალეობას. ამშვიდებს გაღიზიანებულ

თავის კანს და აქრობს ქერტლს. რეკომენდებულია ყველა ტიპის თმისთვის.

კვერცხის შამპუნი — ლეციტინით

ანიჭებს თმას სიცოცხლისუნარიანობას და ბუნებრივ ბრწყინვალეობას. ნატურალური კვერცხის ლეციტინი აღადგენს დაზიანებული თმის სტრუქტურას და კვებავს თავის კანს. ხელს უწყობს აქტიური ნივთიერების უკეთ შეწოვის პროცესს. აუმჯობესებს თავის კანის და თმის ფოლიკულების მდგომარეობას. რეკომენდებულია მშრალი, შეღებილი და დაზიანებული თმისთვის.

ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნი — ხორბლის ცილებით

შესანიშნავად აცილებს ჭუჭყსა და ზედმეტ ცხიმს. აქტიური ნივთიერება - კლიმაზოლი ებრძვის ქერტლს. ხორბლის ექსტრაქტი აღადგენს დაზიანებული თმის სტრუქტურას. ამაგრებს თმას და ანიჭებს განსაკუთრებულ ბრწყინვალეობას. უნარჩუნებს თავის კანს ბუნებრივ pH-ს

შამპუნი შეღებილი და დაზიანებული თმისთვის — კერატინითა და ხორბლის ექსტრაქტით

გამჭვირვალე შამპუნი სასიამოვნო სუნით განკუთვნილია თმისთვის, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას. აქვს ქერტლის საწინააღმდეგო მოქმედება. მის შემადგენლობაში შემავალი კერატინი იცავს თმის სტრუქტურას და აღადგენს მის დაზიანებულ ზედაპირს. ხორბლის ცილები ამაგრებს თმას. მცენარეული კომპონენტები უნარჩუნებენ თავის კანს ბუნებრივ pH-ს.

ბავშვის შამპუნი — მარწყვის არომატით

მცენარეული კომპონენტების შემცველი საბავშვო შამპუნი მარწყვის არომატით შესანიშნავად ბანს ბავშვის თმასა და თავის კანს. ხელს უწყობს ნატურალური pH-ის შენარჩუნებას. ანიჭებს თმას სირბილეს და აიოლებს დავარცხნას. არ იწვევს ცრემლდენას და არ აშრობს კანს.

დერმატოლოგიურად ტესტირებულია.

თმის კრემი __ ქარვის ექსტრაქტით და ულტრაიისფერი ფილტრით

თმის კრემი ულტრაიისფერი ფილტრით დამზადებულია თმის დასაცავად ულტრაიისფერი სხივებისგან. ქარვის ექსტრაქტი იცავს თმას თავისუფალი რადიკალებისგან და ამაგრებს თმის ძირებს. ულტრაიისფერი ფილტრი ხელს უშლის თმის ფერის გახუნებას მზის სხივების მოქმედებისას.

არ საჭიროებს ჩამობანას.

ენვიტა __ ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნი

შამპუნი გამდიდრებულია მკვდარი ზღვის მინერალებით, **ვიტამინ ცე** და **ალოე ვერათი**. შემადგენელი კომპონენტები აცილებენ ქერტლს და ეწინააღმდეგებიან მის წარმოქმნას თმასა და თავის კანზე. ტკბილი ნუში, ზეთუნის ზეთი, ხორბლის ექსტრაქტი და მწვანე ჩაი ატენიანებს თმას და უნარჩუნებს თავის კანს სინაზეს სძენს მას მზინვარე იერსახეს.

შამპუნი

რეკომენდებულია მშრალი, დაზიანებული და შეღებილი თმისთვის. აუმჯობესებს თავის კანში სისხლის მიკროცირკულაციას. ამაგრებს მშრალ და დაზიანებულ თმას, ანიჭებს მოცულობას და ბზინვარებას, ხელს უწყობს ახალი და ჯანმრთელი თმის ამოსვლას.

ბალზამი ინტენსივი

თმის ძირების კვება

ღრმად აღწევს თმის სტრუქტურაში, ინტენსიურად კვებავს და ატენიანებს მას. ამაგრებს და იცავს თმის ძირებს, მატებს ელასტიკურობას და აიოლებს თმის ვარცხნას. არეგულირებს თავის კანის ცხიმოვანი ჯირკვლების მუშაობას.

აღმდგენი ნილაბი თმისთვის

ნილაბი სპეციალურად შექმნილია მზისგან დაზიანებული, მშრალი, ადვილად მტვრევადი თმის სტრუქტურის ინტენსიური აღდგენისთვის.

გამოყენების წესი: კვირაში 2-3-ჯერ სუფთა პირსახოცით შემშრალეულ თმაზე წაისვით საჭირო რაოდენობის ნილაბი. გაიჩერეთ 10-15 წუთი და გულდასმით ჩამოიბანეთ. შეიძლება გამოიყენოთ როგორც თმის კონდინციონერი.

შამპუნი Limoni di Amalfi

გაიმაგრეთ თმა პირველადი ცივი წესით დამუშავებული ტოსკანური ზეითუნის ზეთის, უძვირფასესი ლიმონისა და ნუშის ყვავილების ექსტრაქტის უნიკალური კომბინაციით. მკვებავი ნივთიერებებითა და პანთენოლით გაჯერებული კომპლექსი ამაგრებს თმის სუსტ ძირებს და ანიჭებს მოცულობას.

შამპუნი Giardino di Roma

სპეციალურად შემუშავებულია მშრალი და მტვრევადი თმის მოვლისთვის. შამპუნის შემადგენლობაში შემავალი პირველადი ცივი წესით დამუშავებული ზეითუნის ზეთი, გამაძლიერებელი ბიოტინი, ძვირფასი მცენარეული ექსტრაქტები ამაგრებს თმას მთელ სიგრძეზე, ღრმად კვებავს მას და ანიჭებს ელასტიკურობას. ისიამოვნეთ ახალი ბაზილიკის სურნელით და ჩაიძირეთ "რომაული ბადის" სამყაროში.

შამპუნი Fiori di Sicilia

შეღებილი თმა განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებს. პირველადი ცივი წესით დამუშავებული ტოსკანურ ზეითუნის ზეთზე დამზადებული. ეს შამპუნი შექმნილია შეღებილი თმის ფერის შესანარჩუნებლად. მასში შემავალი უძვირფასესი ფორთოხლისა და ლეღვის ყვავილების ექსტრაქტები აღადგენს დაზიანებულ თმას. პანთენოლი და ვიტამინები იცავს თმას ულტრაიისფერი სხივების მავნე ზემოქმედებისაგან და უნარჩუნებს ბრწყინვალეობას.

თმის სავლები Limoni di Amalfi

ზეითუნის ზეთის, ლიმონისა და ნუშის ყვავილის ექსტრაქტების კომბინაცია ამაგრებს თმის ძირებს. ხელს უშლის თმის ცვენას, თმა ხდება ხშირი და მაგარი. მკვებავი კომპონენტების წყალობით თმა ადვილად ივარცხნება. სავლების ყოველი გამოყენების შემდეგ თმა იღებს ზრდისთვის აუცილებელ ნივთიერებებს.

დოლივა ინტენსივი Giardino di Roma

ბალზამი დამზადებულია მშრალი და მტვრევადი თმის მოვლისთვის. თმა ადვილად ივარცხნება, ყოველი გამოყენების შემდეგ იძენს უფრო მეტ სასიცოცხლო ძალას და მოცულობას. ბაზილიკისა და გვირილის ექსტრაქტები, ზეითუნის ზეთი და ბიოტინი თმას ძლიერებასა და ბრწყინვალეობას სძენს.

თმის სავლები Fiori di Sicilia

სავლები შექმნილია შეღებილი თმის დასაცავად. ზეითუნის ზეთი, ფორთოხლისა და ლეღვის ექსტრაქტები ახდენს თმის რეგენერაციას, ანიჭებს მას ბუნებრივ ბრწყინვალეობასა და აბრეშუმის ელფერს. ვიტამინები, პანთენოლი და მცენარეული ექსტრაქტები ხანგრძლივად უნარჩუნებს თმას ინტენსიურ ფერს და იცავს მავნე ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან.



სახის მოვლა

ასაკის მატებასთან ერთად, ქალის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც იგი განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს თავის თავზე. რათა რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს თავისი მომხიბვლელობა და სილამაზე.

უფრო და უფრო დიდი პრობლემა ხდება ნაოჭის გაჩენა მის სახეზე. ეს სილამაზის დაკარგვის პროცესის ერთ-ერთი ნაწილია და, შესაბამისად, პრობლემური.

ნაოჭებიდან ზოგიერთი ჩვენი დახმარებით ჩნდება. ჩვენი ჩვევები და ცხოვრების სტილი გავლენას ახდენს მათ რიცხვზე. შემოგთავაზებთ ამ ჩამონათვალს.

გამოსხივება. “ჯანსაღი ნამზეური” კანის დაზიანების ნიშანია, რომელიც ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების შედეგია. მოწევა. მოწევა კანს ვნებს. ის აჩქარებს დაბერების მექანიზმს და ადრეულ ნაოჭებს პროვოცირებას უკეთებს. მწველების კანის მიკროსკოპული ანალიზი ცხადყოფს პატარა ნაოჭების გაჩენას უკვე 20 წლის ასაკიდან. რაც მეტი დრო გავა და რაც მეტი კოლოფი

თამბაქო დაიხარჯება, მით მეტი ნაოჭი იქნება კანზე.
დამტკიცებულია ისიც, რომ მოწევა კანის ფერსაც ცვლის.
სახის კუნთები. გაღიმება, გაცინება, გაბრაზების ნიშნად კოპების
შეკვრა, მზის გამო თვალების მოხუჭვა – ყველა ეს ჩვეული
მოძრაობა თვალების ირგვლივ და შუბლზე დიდი ნაოჭების გაჩენას
ეხმარება.

დიეტები. ხშირი და განმეორებადი მკაცრი დიეტები, რომელთა
გამოც წონას ვკარგავთ, მერე კი ისევ ვინაზღაურებთ და მერე ისევ
ვკარგავთ, კანზეც დამანგრეველად მოქმედებს.

ყველას აინტერესებს როგორ ვებრძოლოთ ნაოჭების გაჩენას.

1. ვიტამინები

C ვიტამინი და ცნობილი ატიოქსიდანტები კანს მზის მავნე
ზემოქმედებისგან იცავენ. ვიტამინი აღადგენს და განამტკიცებს
კანს. უნდა ავირჩიოთ ჯანსაღი და დაბალანსებული საკვები;
მივიღოთ ხილი და ბოსტნეული; ხშირად და ცოტ-ცოტა ვჭამოთ.
მივიღოთ პროდუქტები, რომლებიც აუცილებელ ვიტამინებს
შეიცავენ, მაგ. პომიდორი (ვიტამინი C) სტაფილო, (ვიტამინია A)
თხილი, ნიგოზი (ვიტამინი E).

2. არ დაივიწყოთ წყალი!

კანი თანდათან უფრო მშრალი და თხელი ხდება. ტენიანობის
საჭირო დონის შესანარჩუნებლად აუცილებელია საკმარისი
რაოდენობით წყლის მიღება. დღეში 6-8 ჭიქა წყალი მაინც უნდა
მიიღოთ. ამასთან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ
თირკმლებისა და გულის მდგომარეობა.

თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, ნაადრევი დაბერების საშიშროება
ნაკლებია. თუმცა ცხიმოვანი კანს ცხიმის უხვად შემცველი კრემები არ
უხდება. ამ ტიპის კანისთვის ადრეულ ასაკში (25-დან 30 წლამდე)
უმთავრესად დამატენიანებელი საშუალებებია რეკომენდებული.
35 წლის შემდეგ კი აუცილებელია ღამის მკვებავი კრემის
გამოყენებაც.

მშრალი კანის პატრონებს განსაკუთრებული ყურადღება მართებთ. მათ მკვებავი კრემის გამოყენება ადრეულ ასაკშივე უნდა დაიწყონ, ხოლო 35 წლის შემდეგ ნაოჭების საწინააღმდეგო საშუალებები დღისითაც გამოიყენონ.

გაწმენდა-გასუფთავება და პილინგი სიბერესთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ნაცადი და ეფექტური მეთოდია. გარქოვანებული გარსის მოცილებით უმჯობესდება კანის სუნთქვა, აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, უჯრედები უკეთ მარაგდება ჟანგბადით, რაც ნაოჭების წარმოქმნას აფერხებს.

ახალგაზრდობის გახანგრძლივებისა და ნაოჭების გასწორების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა სახის მასაჟია. რომელის ინსტრუქციასაც აქვე შემოგთავაზებთ.

მასაჟი შუბლიდან უნდა დაიწყოს. თითები ნაზი, მსუბუქი დაწოლით ამოდრავთ ნაოჭების საწინააღმდეგო მიმართულებით. შეეცადეთ, გაასწოროთ ყველა ნაოჭი. შემდეგ წარბებს შორის არეზე გადადით, შემდეგ – თვალის ირგვლივ არსებულ კანზე, თვალის კუთხეებსა და ცხვირ-ნიკაპის სამკუთხედზე. კანი თითების მსუბუქი, ინტენსიური, დამჭიმავი ეფექტის მქონე მოძრაობებით დაამუშავეთ. შემდეგ გადადით ვიბრაციის ეფექტის მქონე მასაჟზე, დასასრულ კი სპეციალური მასაჟორი გამოიყენეთ, რომელიც აუცილებლად ნატურალური ქვის უნდა იყოს. ბუნებრივი წარმოშობის მინერალური ქვა სიგრილეს ხანგრძლივად ინარჩუნებს. უკვე დამუშავებულ, გახურებულ კანს ის სასიამოვნოდ აგრილებს.

მასაჟის შედეგად უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა. კანი უფრო ელასტიკური და მკვრივი ხდება, უმჯობესდება მისი ფერი და სწორდება ნაოჭები.

ყელი ეს ის ნაწილია რომელიც ყველაზე ადვილად გასცემს თქვენს ასაკს. ამიტომ საჭიროა მისი კარგად მოვლა. ყელი და დეკოლტეს ზონაც ისევე უნდა გაისუფთავოს, დაიტენიანოს და კვებოს, როგორც მშრალი სახის კანი.

ყელისა და დეკოლტეს კანი ნაზი და უცხიმოა. მისი სტრუქტურული შემადგენლობა დაახლოებით ისეთივეა, როგორც

თვალეზის ირგვლივ არსებული კანისა, ამიტომ მოვლაც მსგავსი სჭირდება.

ჭორფლი

ჭორფლი არის ორგანიზმის ბუნებრივი რეაქცია, რომელიც ადამიანს ულტრაიისფერი გამოსხივებისგან იცავს. ულტრაიისფერი სხივები ყველაზე მეტ საფრთხეს მწითური და ღია ფერის თმის მქონე ადამიანებს უქმნის. კანი მცირე რაოდენობით შეიცავს მღებავ პიგმენტს – მელანინს და უჯრედებს, რომლებიც მელანინს გამოიმუშავენ; ამის გამო, ღია ფერისა და მწითური თმების მქონე ადამიანებს კანის სიმსივნის, ავთვისებიანი ხალების წარმოქმნისა და მზისგან მიღებული დამწვრობის დიდი რისკი ემუქრება. ჭორფლი, რომელიც ხსენებულ პიგმენტს შეიცავს, იკრებს მზის სხივებს და ხელს უშლის დამწვრობას. ზამთარსა და შემოდგომაზე ორგანიზმი აღარ საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას ულტრაიისფერი გამოსხივებისგან.

რა თქმა უნდა, ჭორფლთან ბრძოლა ადვილი საქმე არაა, მაგრამ ამ პატარა, მწითური ლაქების წარმოქმნის შეჩერება მაინც შესაძლებელია. ყველაზე მარტივ მეთოდად მზისგან დამცავი საშალებების გამოყენება ითვლება. პირველ რიგში, აუცილებელია მზის სათვალეების ტარება. მეორე, ასევე მნიშვნელოვანი საშუალებაა ქუდის ტარება, რომელიც ხელს უშლის მზის სხივების სახეზე მოხვედრას. მზის მაღალი აქტივობის დროს, აუცილებელია ჩრდილში გაჩერება და გარეთ სიარულისგან თავის შეკავება. თუ მაინც მოგიწევთ მზეზე სიარული, იხმარეთ მზისგან დამცავი კრემი.

თუ შესაბამისი ზომები მიიღეთ, მაგრამ ჭორფლი მაინც გაგიჩნდათ, ამაზე არ ინერვიულოთ – არსებობს მათი თავიდან აცილების საშუალებები. სხვათა შორის, კანის გათეთრება ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტესა და საბერძნეთშიც იცოდნენ. ასე რომ, თანამედროვე კოსმეტოლოგიას გააჩნია ათასწლეულების განმავლობაში

ჩამოყალიბებული გამოცდილება. მაგალითად, ძველ დროშიც იცოდნენ, რომ პირშუმხა და ბაბუაწვერა ფლობს მუქი კანის გაღიავებისა და პიგმენტური ლაქების მოცილების უნარს. ამ საშუალებებს მოგვიანებით კიტრი და ლიმონიც შეემატა. ნივთიერება, რომელსაც ეს მცენარეები შეიცავენ, აღწევს კანში, მჟავურ ზემოქმედებას ახდენს მუქ პიგმენტებზე და თანდათან აღიავებს კანს. გარდა ამისა, ხილი შეიცავს სხვადასხვა სახის მჟავას, რომლებიც ფართოდ გამოიყენება კოსმეტოლოგიაში – ქიმიური საშუალებებისა და გამაახალგაზრდავებელი კრემების დასამზადებლად.

ოჯახურ პირობებში ადვილია ბუნების ამ საჩუქრით – ბაბუაწვერათი, პირშუმხათი და კიტრით სარგებლობა. ყველაზე ადვილია კიტრის ნიღბის გამოყენება. ახალი ბისტნეული უნდა გავასუფთავოთ, დავჭრათ და სახეზე დავილაგოთ. უფრო ეფექტურია კიტრის წვენის გამოყენება, რომელსაც კიტრის გათლითა და მისი გამოწურვით მიიღებენ. ასევე რეკომენდებულია ლიმონის წვენი, მაგრამ არა – ლიმონმჟავა, რომელმაც შესაძლოა კანის დაწვაც კი გამოიწვიოს. 20–30 წუთის შემდეგ აუცილებელია ნიღბის მოხსნა. ნაკლებ ეფექტურია, მაგრამ მაინც იყენებენ ხენდროს, მოცხარისა და პომიდვრის ნიღაბსაც. საერთოდ, უკეთესია, ამ პროდუქტებს დავასხათ ლიმონის წვენის მსუბუქი ხსნარი ან ცაცხვის ყვავილის ნაყენი (რომელსაც ამზადებენ ერთ სუფრის კოვზ ცაცხვის ფოთოლზე ერთი ფინჯანი ადუღებული წყლის დასხმით). საყურადღებოა, რომ კანის გასაახალგაზრდავებლად ახალი ბოსტნეული და ხილი ყველაზე კარგი საშუალებებია. ისიც აღსანიშნავია, რომ ბოსტნის კვლებიდან აღებული პროდუქტები გაცილებით უკეთ ათეთრებს კანს, ვიდრე – სათბურში მოყვანილი მათი `თანამომძმეები`.

თუ ვერ ეგუებით ლაბორატორიული ცდების ჩატარებას, საშუალება გაქვთ, გამათეთრებელი კრემებით ისარგებლოთ; ისინი დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ბაზარზე. ეს კოსმეტიკური საშუალებები შეიცავს გამათეთრებელი ნივთიერებების, ვიტამინებისა და დამარბილებელი კომპონენტების

მთელ კომპლექსს. მხოლოდ პრაქტიკული გამოყენების პროცესში არის შესაძლებელი იმის გარკვევა, თუ რომელი კრემი ან ლოსიონი არის თქვენთვის უკეთესი. ამისთვის რამდენიმე თვე დაგჭირდებათ. თუ პროფესიონალი; კოსმეტოლოგს მიმართავთ, ამის გასარკვევად ორიოდ წუთიც საკმარისი იქნება.

ნუ იქნებით დაიმედებული, რომ პირველივე გამათეთრებელი ნიღბის შემდეგ ჭორფლი მთლიანად მოგცილდებათ. აუცილებელია ნიღბის გაკეთება 2–3 კვირის განმავლობაში, რასაც გარკვეული ნაკლიც აქვს: გამათეთრებლის ხშირად წასმის შემდეგ, შესაძლოა, კანზე ღია ფერის ლაქები გაჩნდეს. ამ გვერდითი მოვლენების თავიდან ასაცილებლად ეფექტურია თვითგარუჯვისთვის საჭირო საშუალებების გამოყენება. ეს კრემები თანაბრად უნდა წავისვით სახეზე; არა მარტო ჭორფლი, არამედ თეთრი ლაქებიც გარუჯვის შემდეგ სრულებით დაიფარება.

კანის გათეთრების შემდეგ, აუცილებელია მზისგან დამცავი ლოსიონებისა და კრემების გამოყენება. ამ პროცედურების შემდეგ, კანი ხდება უფრო მგრძობიარე ულტრაიისფერი გამონხსივების მიმართ. შემოდგომითაც კი მზემ შესაძლოა ახალი ჭორფლის წარმოქმნა გამოიწვიოს.

კანი სხეულის ზედაპირის საფარველია. მისი უმთავრესი ფუნქციაა შეინარჩუნოს ორგანიზმის ჰომეოსტაზი, გარემოს ყოველდღიური ზემოქმედების მიუხედავად. კანი ქმნის ბარიერს და იცავს ქვეშე მდებარე ქსოვილებს მიკროორგანიზმების, მავნე ნივთიერებებისა და რადიაციის ზემოქმედებისაგან; კანში ხდება (მასზე მზის სხივების ზემოქმედებისას) D ვიტამინის სინთეზი.

კანი და კანის დანამატები (თმა, ფრჩხილები, ბეწვი, ოფლისა და ქონის ჯირკვლები) ასაკთან ერთად ცვლილებებს განიცდიან. ადამიანის კანი სხეულის ყველაზე მძიმე ორგანოა, რომელზეც მოდის სხეულის წონის დაახლოებით 16 % და ფარავს 1,2-დან 2,3 კვადრატულ მეტრ ფართობს. იგი შეიცავს სამ შრეს ეპიდერმისს, დერმას (საკუთრივ კანს) და კანქვეშა ქსოვილებს.

რაც შეეხება სახის კანს – არსებობს სხვადასხვა ტიპის სახის კანი.
1. მშრალი; 2. ცხიმიანი; 3. ნორმალური და კომბინირებული

მშრალი კანი ხასიათდება შემდეგნაირად: სიფრმკრთალე, აშკარად შესამჩნევი, შევიწროვებული ფორები. მშრალ კანზე ვერ ნახავთ თმას, ფერიმჭამელებს. მას არ გააჩნია ცხიმოვანი სიპრიალე. ცხიმიანი კანი. ცხიმიანი კანისთვის დამახასიათებელია გახსნილი ფორები, განსაკუთრებით ცხვირზე, ლაწვებზე და ნიკაპზე. კანზე დიდი რაოდენობით აღინიშნება ცხიმიანი სიპრიალე. ხშირად ცხიმიან კანზე ჩნდება ჩირქოვანი გამონაყარი. ნორმალური და კომბინირებული სახის კანი ყოველთვის მკვრივი და ელასტიურია. იგი სადაა და ხავერდოვანი. თუმცა T-ზონა შედარებით ცხიმოვანია. (T-ზონა მოიცავს: ცხვირს, შუბლსა და ნიკაპს)

ნებისმიერი ტიპის სახის კანისთვის ძალიან ეფექტურია ხილი, თუმცა ისინი სხვადასხვაგვარად მოქმედებენ:

- გარგარი ამშვიდებს კანს;
- ბანანი ასწორებს და არბილებს კანს;
- მოცვი ავიწროებს ფორებს და კვებავს კანს;
- ატამი ასწორებს კანს და არბილებს, აძლევს სასიამოვნო ფერს;
- ატამი და ჟოლო ატენიანებს და კვებავს;
- ლიმონი ათეთრებს და ფორებს ავიწროებს;
- მოცხარი ავიწროებს ფორებს და კვებავს კანს;
- ქაცვი ახორცებს ჭრილობას, კვებავს და არბილებს კანს.

ზაფხული, ეს ის დროა როდესაც კანი წელიწადის სხვა დროებისგან განსხვავებით ყველაზე მეტად შიშველია. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ როგორ გამოიყურება ჩვენი კანი.

რა სჭირდება ჩვენს კანს იმისათვის, რომ ყოველთვის ლამაზად გამოიყურებოდეს?

1. პირველ რიგში რა თქმა უნდა სწორი კვება, ვიტამინები, მინერალები, ხილი, ბოსტნეული;

2. მზეზე ყოფნა; ვიტამინი D, რომელიც მზის სხივების ზემოქმედებისას წარმოიქმნება, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ორგანიზმისათვის, ამიტომ აუცილებელია ადამიანმა მიიღოს მზის აბაზანები, თუმცა, აუცილებლად ზომიერად.

3. სხეულის მოვლის საშუალებები რომლებიც მეტ-ნაკლებად ნატურალური კომპონენტებით გამოირჩევა.

ამ პერიოდში, ზამთრის კრემებისგან განსხვავებით, უკვე გჭირდებათ დამატენიანებლები და ისეთი პროდუქტები, რომლებსაც აქვთ მზისგან მაღალი დამცავობის ფაქტორი.

მიიღეთ: ზეითუნის ზეთი, მწვანე ჩაი, სტაფილო, კენკროვანი ხილი, ორაგული, წყალი, ნუში, ავოკადო, ხაჭო.

მოერიდეთ: ცხიმინ და მარილიან საჭმელს, ზედმეტი რაოდენობით ნაყინის ჭამას, გაზიან სასმელს, ცომეულსა და მძიმე საკვებს, რადგან ამ პერიოდში ჯობია ორგანიზმის ენერჯია სხვა რამეში დახარჯოთ, ვიდრე მოანდომოთ მძიმე საკვების გადამუშავებას.

ასაკის მატებასთან ერთად უფრო და უფრო დიდი პრობლემა ხდება ნაოჭის გაჩენა ქალისთვის. ეს სილამაზის დაკარგვის პროცესის ერთ-ერთი ნაწილია და, შესაბამისად, პრობლემური.

ნაოჭებიდან ზოგიერთი ჩვენი დახმარებით ჩნდება. ჩვენი ჩვევები და ცხოვრების სტილი გავლენას ახდენს მათ რიცხვზე.

შემოგთავაზებთ ამ ჩამონათვალს.

გამოსხივება. “ჯანსაღი ნამზეური” კანის დაზიანების ნიშანია, რომელიც ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების შედეგია.

მოწევა. მოწევა კანს ვნებს. ის აჩქარებს დაბერების მექანიზმს და ადრეულ ნაოჭებს პროვოცირებას უკეთებს. მწვევლების კანის მიკროსკოპული ანალიზი ცხადყოფს პატარა ნაოჭების გაჩენას უკვე 20 წლის ასაკიდან. რაც მეტი დრო გავა და რაც მეტი კოლოფი თამბაქო დაიხარჯება, მით მეტი ნაოჭი იქნება კანზე.

დამტკიცებულია ისიც, რომ მოწევა კანის ფერსაც ცვლის.

სახის კუნთები. გაღიმება, გაცინება, გაბრაზების ნიშნად კოპების შეკვრა, მზის გამო თვალების მოხუჭვა – ყველა ეს ჩვეული

მოძრაობა თვალების ირგვლივ და შუბლზე დიდი ნაოჭების გაჩენას ეხმარება.

დიეტები. ხშირი და განმეორებადი მკაცრი დიეტები, რომელთა გამოც წონას ვკარგავთ, მერე კი ისევ ვინაზღაურებთ და მერე ისევ ვკარგავთ, კანზეც დამანგრეველად მოქმედებს.

ყველას აინტერესებს როგორ ვებრძოლოთ ნაოჭების გაჩენას.

1. ვიტამინები

C ვიტამინი და ცნობილი ატიოქსიდანტები კანს მზის მავნე ზემოქმედებისგან იცავენ. ვიტამინი აღადგენს და განამტკიცებს კანს. უნდა ავირჩიოთ ჯანსაღი და დაბალანსებული საკვები; მივიღოთ ხილი და ბოსტნეული; ხშირად და ცოტ-ცოტა ვჭამოთ. მივიღოთ პროდუქტები, რომლებიც აუცილებელ ვიტამინებს შეიცავენ, მაგ. პომიდორი (ვიტამინი C) სტაფილო, (ვიტამინია A) თხილი, ნიგოზი (ვიტამინი E).

2. არ დაივიწყოთ წყალი!

კანი თანდათან უფრო მშრალი და თხელი ხდება. ტენიანობის საჭირო დონის შესანარჩუნებლად აუცილებელია საკმარისი რაოდენობით წყლის მიღება. დღეში 6-8 ჭიქა წყალი მაინც უნდა მიიღოთ. ამასთან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ თირკმლებისა და გულის მდგომარეობა.

თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, ნაადრევი დაბერების საშიშროება ნაკლებია. თუმცა ცხიმოვანი კანს ცხიმის უხვად შემცველი კრემები არ უხდება. ამ ტიპის კანისთვის ადრეულ ასაკში (25-დან 30 წლამდე) უმთავრესად დამატენიანებელი საშუალებებია რეკომენდებული. 35 წლის შემდეგ კი აუცილებელია ღამის მკვებავი კრემის გამოყენებაც.

მშრალი კანის პატრონებს განსაკუთრებული ყურადღება მართებთ. მათ მკვებავი კრემის გამოყენება ადრეულ ასაკშივე უნდა დაიწყონ, ხოლო 35 წლის შემდეგ ნაოჭების საწინააღმდეგო საშუალებები დღისითაც გამოიყენონ.

გაწმენდა-გასუფთავება და პილინგი ნაადრევ სიბერესთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ნაცადი და ეფექტური მეთოდია. გარქოვანებული გარსის მოცილებით უმჯობესდება კანის სუნთქვა, აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, უჯრედები უკეთ მარაგდება ჟანგბადით, რაც ნაოჭების წარმოქმნას აფერხებს.

ახალგაზრდობის გახანგრძლივებისა და ნაოჭების გასწორების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა სახის მასაჟია. რომელის ინსტრუქციასაც აქვე შემოგთავაზებთ.

მასაჟი შუბლიდან უნდა დაიწყოს. თითები ნაზი, მსუბუქი დაწოლით ამოდრავთ ნაოჭების საწინააღმდეგო მიმართულებით. შეეცადეთ, გაასწოროთ ყველა ნაოჭი. შემდეგ წარბებს შორის არეზე გადადით, შემდეგ – თვალების ირგვლივ არსებულ კანზე, თვალის კუთხეებსა და ცხვირ-ნიკაპის სამკუთხედზე. კანი თითების მსუბუქი, ინტენსიური, დამჭიმავი ეფექტის მქონე მოძრაობებით დაამუშავეთ. შემდეგ გადადით ვიზრაციის ეფექტის მქონე მასაჟზე, დასასრულ კი სპეციალური მასაჟორი გამოიყენეთ, რომელიც აუცილებლად ნატურალური ქვის უნდა იყოს. ბუნებრივი წარმოშობის მინერალური ქვა სიგრილეს ხანგრძლივად ინარჩუნებს. უკვე დამუშავებულ, გახურებულ კანს ის სასიამოვნოდ აგრილებს.

მასაჟის შედეგად უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა. კანი უფრო ელასტიკური და მკვრივი ხდება, უმჯობესდება მისი ფერი და სწორდება ნაოჭები.

ყელი ეს ის ნაწილია რომელიც ყველაზე ადვილად გაცემს თქვენს ასაკს. ამიტომ საჭიროა მისი კარგად მოვლა. ყელი და დეკოლტეს ზონაც ისევე უნდა გაისუფთავოთ, დაიტენიანოთ და კვებოთ, როგორც მშრალი სახის კანი.

ყელისა და დეკოლტეს კანი ნაზი და უცხიმოა. მისი სტრუქტურული შემადგენლობა დაახლოებით ისეთივეა, როგორც თვალების ირგვლივ არსებული კანისა, ამიტომ მოვლაც მსგავსი სჭირდება.

გარუჯვა – ეს არის კანის გამუქება, რასაც იწვევს კანის გარე შრეში (ეპიდერმისში) მელანინის დიდი რაოდენობით დაგროვება. ეს

პროცესი მზიდან ან სინათლის ხელოვნური წყაროდან გამოტყორცნილი ულტრაიისფერი სხივების კანზე ზემოქმედებით მიმდინარეობს. როგორც წესი, გარუჯვა მეტყველებს იმაზე, რომ ულტრაიისფერი სხივები დადებით ზემოქმედებას ახდენენ ჩვენს ორგანიზმზე; მათი მოქმედების შედეგად, ორგანიზმში წარმოიქმნება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებიც ასტიმულირებენ, ნერვული და ენდოკრინული სისტემების ფუნქციონირებას, ნივთიერებათა ცვლას, იმუნურ გამძლეობას ინფექციური და სხვა სახის დაავადებების მიმართ. ბევრისთვის საინტერესო იქნება ის ფაქტიც, რომ ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით ჩვენს ორგანიზმში წარმოიქმნება D ვიტამინი, რაც ხელს უწყობს ნაწლავიდან კალციუმის შეწოვას. მოგეხსენებათ, კალციუმი ძალზე მნიშვნელოვანია ძვლოვანი სისტემისთვის, რადგან ამ ვიტამინის ნაკლებობის დროს ვითარდება რაქიტი.

იცოდით, რომ გარუჯვა ორგანიზმის ერთ–ერთი დამცავი რეაქციაა? საქმე ის გახლავთ, რომ ამ დროს სქელდება კანის რქოვანი ფენა; მელანინი კი შთანთქავს სხივებს და გვიცავს გრძელტალღოვანი ულტრაიისფერი სხივებისგან, რომლებიც, ხანგრძლივი ზემოქმედების შემთხვევაში კლავენ უჯრედებს. მელანინი ასევე გვიცავს ინფრაწითელი სხივებისგანაც, რომლებიც იწვევენ ორგანიზმის გადახურებას და ე.წ. მზის დარტყმას. მზის ზემოქმედების დადებით მხარესთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს ის საფრთხეც, რომელსაც გვიქადის მზის გულზე დიდხანს ყოფნა. ულტრაიისფერი სხივების ხანგრძლივი ზემოქმედება კანისთვის საკმაოდ საშიშია. მხოლოდ მუქი ფერის კანის მქონე ადამიანებს ახასიათებთ მელანინის დიდი დოზით გამოყოფა, რაც მათ ამ საშიშროებისგან იცავს. საფრთხე, რომელიც შეიძლება ჩვენს კანს დაემუქროს, მზის ქვეშ ყოფნის პირდაპირპროპორციულია. მაგალითად, თუ მზეზე 10 წუთს გავჩერდებით, მზე მხოლოდ გააღიზიანებს კანს და გამოიწვევს მკრთალ სიწითლეს. დიდხანს ყოფნისას კი იწყება კანის ანთებითი პროცესი და მისი შეშუპება, რასაც შესაძლოა მოჰყვეს კანის დამწვრობა. დამწვრობის შედეგად ჩნდება ბუშტები და დროთა

განმავლობაში იწყება მისი დაწყლულება. მზეზე დიდხანს ყოფნის შემთხვევაში, კანს ფაქტობრივად, აღარ შეუძლია დამცავი ფუნქციის შესრულება. მძიმე დამწვრობისას წყდება თერმორეგულაცია, რაც მზის დაკვრის უშუალო წინაპირობაა. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ კანი განიცდის დეჰიდრატაციას, ქვეითდება ტურგორი; კანის კარგავს ელასტიურობას, სიგლუვეს და ნაოჭებით იფარება. სამწუხაროდ, არანაირ საშუალებას აღარ შეუძლია ამ პროცესის შეჩერება.

ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი კი, რის გამოც დიდხანს გარუჯვას უნდა მოვერიდოთ გახლავთ ის გარემოება, რომ მზის სხივები სერიოზულ ცვლილებებს იწვევს კანში. შესაძლოა, ამან კანის სიმსივნეც კი გამოიწვიოს. ქვეყნებში, სადაც წლის მანძილზე მზიანი დღეები ჭარბობს, ეს საფრთხე განსაკუთრებით თეთრკანიან ადამიანებს ემუქრება. მზის სხივების ხანგრძლივ ზემოქმედებას უნდა ერიდონ ის ადამიანები, რომელთაც მელანინის გამომუშავების პრობლემა აქვთ და ისინიც, რომელთა კანი მელანინს დიდ რაოდენობით გამოიმუშავებს. პირველ შემთხვევაში კანი სწრაფად იწვება, მეორე შემთხვევაში კი ლაქები მუქდება და უფრო შესამჩნევი ხდება. მზეს უნდა ვერიდოთ მაშინაც, თუ დერმატიტების პრობლემა გვაქვს, რადგან ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო შრება კანი და მისი საერთო მდგომარეობა უარესდება.

მზის აბაზანები კარგია მათთვის, ვისაც ხუთვა აწუხებს. საამისოდ იყენებენ ულტრაიისფერ გამოსხივებას, რომელიც აქერცლილი კანის ადგილას ახალი კანის წარმოქმნასა და კანის სხვადასხვა ფუნქციის აღდგენას უწყობს ხელს. მზის აბაზანებით მკურნალობას, ულტრაიისფერი სხივების დადებითი ეფექტის გამო, უნიშნავენ ფსორიაზით დაავადებულებს.

მზეზე დიდხანს ყოფნა განსაკუთრებით სარისკოა: ხანდაზმულებისთვის, 2 წლამდე ასაკის ბავშვებისა და იმ ადამიანებისთვის, ვისაც აწუხებს ფილტვების, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული და სხვა სახის დაავადებები. მზეზე

ყოფნის ვადა და რეჟიმი მათ აუცილებლად ექიმთან უნდა შეათანხმონ.

მზის სხივებისადმი ზედმეტი მგრძობელობა შეიძლება განუვითარდეთ იმ ადამიანებს, რომელთაც ალკოჰოლის ჭარბი მიღებისგან დარღვეული აქვთ ღვიძლის ფუნქცია. ზედმეტი მგრძობელობის განვითარების შემთხვევაში უნდა ვეცადოთ, ვიაროთ ჩრდილში, ჩავიცვათ ღია ფერის ტანსაცმელი, დაუცველ ადგილებზე წავისვათ მზისგან დამცავი კრემი, ასევე უნდა ვიხმაროთ ქოლგა და მზის სათვალეები.

სამწუხაროდ, იმის მიუხედავად, რომ ბევრმა კარგად იცის, თუ რამდენად სარისკოა მზე კანისთვის, მაინც მიაჩნიათ – გარუჯვა მათ უფრო მომხიბვლელს გახდის.

ზოგიერთებისათვის რუჯის მიღება საერთოდ უკუნაჩვენებია; მზეზე დიდხანს ყოფნა დაუშვებელია მათთვის, ვისაც მაღალი არტერიული წნევა აქვს, ასევე ღვიძლის ფუნქციის დარღვევების მქონე და ტუბერკულოზით დაავადებულთათვის. არ ღირს გარუჯვა ტაქიკარდიისა და სტენოკარდიის დროსაც. გარუჯვა მინიმუმადე უნდა შეამციროთ, თუკი თქვენ კანის რაიმე დეფექტი გაქვთ, მაგალითად, მრავალრიცხოვანი მეჭეჭები ან პიგმენტური ლაქები. რეკომენდებული არაა მზის აბაზანების მიღება ხანდაზმულთათვის და ორსულებისათვის, ვინაიდან ამ პერიოდში ქალები ძალზედ მგრძობიარენი არიან ულტრაიისფერი სხივების მიმართ.

2. პლაჟზე წასვლისას უარი თქვით დეკრეტიულ კოსმეტიკასა და პარფიუმერიაზე, ვინაიდან მათ შემადგენლობაში შემავალი ზოგიერთი ნივთიერება რეაქციაში შედის ულტრაიისფერ სხივებთან და იწვევს ალერგიულ რეაქციებს. გარდა ამისა, არსებობს მთელი რიგი წამლებისა, რომელთა მიღება გარუჯვის დროს წინააღმდეგნაჩვენებია, ვინაიდან ისინი აძლიერებენ კანის მგრძობელობას სინათლის სხივების მიმართ.

3. ზღვაზე წასვლამდე არ ჩაიტაროთ რაიმე სერიოზული კოსმეტიკური პროცედურა – პილინგი, ტატუ და ა. შ. კანის მგრძობელობა ძლიერდება ასევე ეპილაციის შემდეგაც.

4. გარუჯვა დაიწყეთ ჰაერის აბაზანებით, ნახევრად ჩრდილის პირობებში და მხოლოდ შემდეგ შეგიძლიათ მზეზე გასვლა. რუჯის მიღების საუკეთესო დროა დილის 6 საათიდან 10 საათამდე და სააღამოს 16 საათიდან 19 საათამდე პერიოდი. დღის ყველაზე ცხელ პერიოდში უმჯობესია შენობაში ან ჩრდილში ყოფნა.

5. პლაჟზე ყოფნისას აუცილებლად დაიხურეთ თავსაბურავი;

6. თუ კანი გადახურდა, მაგრამ არ გაწითლდა, არ უნდა დაგვავიწყდეს მზის სხივების კანზე მავნე ზემოქმედების ფაქტორიც. ასეთ დროს შეგიძლიათ იხმართ დამარბილებელი, დამატენიანებელი და მკვებავი კრემები. დღეს მრავალი კოსმეტიკური სინთეზური საშუალება არსებობს, რომლებიც მზის უარყოფით მოქმედებას ან გამოწვეულ დისკომფორტს ამცირებენ, ხელს უწყობენ ადამიანის კომფორტულად მზის აბაზანების მიღებას და დამწვრობის შემთხვევაში ააცილებენ მას უარყოფით შედეგებს.

სწრაფად გარუჯვის სურვილს ბევრი ადამიანი ძალზე უარყოფით შედეგებამდე მიჰყავს. ამან შესაძლოა კანის დამწვრობა გამოიწვიოს. ექიმი ნონი თურმანიძე გვიჩვენებს: „კანის დამწვრობისთანავე სველი ნაჭერი უნდა შემოვიხვიოთ. პირველი უარყოფითი ეფექტი, რასაც მზის ულტრაიისფერი გამოსხივება ახდენს ეს არის კანის დეჰიდრატაცია, გამოშრობა. ამიტომ, რაც შეიძლება მეტი წყალი უნდა მივიღოთ და მეტად დავისველოთ კანი. სველი სახვევის შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა წავისვით რაიმე დამწვრობის საწინააღმდეგო მაღამო.

ეპილაცია

თმების მოშორების ყველაზე თანამედროვე და ეფექტური საშუალებაა. ეს მეთოდი თმის ბუდეების დაშლას ეფუძნება. ეპილაცია სხვადასხვა სახისაა: ელექტროეპილაცია, სხივური ეპილაცია, რომელიც იყოფა ლაზერულ და ფოტოეპილაციად. დამხმარე სახით, დღეისთვის ფართოდ გამოიყენება ულტრაბგერითი და ენზიმური ეპილაციაც. როგორც წესი, მათ იყენებენ ეპილაციის ძირითადი საშუალებების ეფექტურობის გასაზრდელად. ეპილაციის დამხმარე მეთოდების გამოყენების შედეგად, სასურველ შედეგს საკმაოდ მცირე დროში იღებენ. ამგვარი პროცედურების ჩატარების შემდეგ, თმებს გასაზრდელად ჩვეულებრივზე გაცილებით მეტი დრო სჭირდება; დროთა განმავლობაში მათი რაოდენობა იკლებს და ბოლოს მთლიანად ქრება. ასეთ შემთხვევაში აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა თმის ტიპს, ფერსა და სტრუქტურას.

ელექტროეპილაცია:

მე-19 საუკუნეში ელექტროლიზის გამოგონებამ საფუძველი ჩაუყარა ელექტროეპილაციის მეთოდის დასამუშავებლად განხორციელებულ ცდებს. ამ მეთოდის პრაქტიკაში გამოყენება დაიწყო ევროპაში მე-20 საუკუნის 40-იან წლებში.

ფოტოეპილაცია

გასული 10 წლის მანძილზე კოსმეტიკურ მედიცინაში თანდათან ფოტოეპილაციის გამოყენებაც დაიწყო. მისი მეშვეობით უვლიდნენ სახის კანს, ფეხის ვენებს, აშორებდნენ პიგმენტურ ლაქებს, ასევე ასწორებდნენ ნაოჭებს. ამჟამად ეს მეთოდი თმების მოსაშორებლადაც გამოიყენება.

ლაზერული ეპილაცია

ლაზერულ სხივს გააჩნია უნარი, სწრაფად გააცხელოს და დაშალოს თმის ფოლიკულის უჯრედები. ლაზერული სხივი, რომელიც მელანინის პიგმენტებს შეიცავს, დღეისთვის ფართოდ გამოიყენება არასასურველი თმების მოსაცილებლად. ლაზერული ეპილაციის პირველი სეანსი განხორციელდა 1981 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ულტრაბგერითი ეპილაცია

ეს არის დამხმარე საშუალება, რომელიც გამოიყენება ცვილოვანი დეპილაციის განხორციელების შემდეგ. ამ სახის ეპილაციას ატარებენ თანამედროვე ულტრაბგერითი აპარატისა და განსაკუთრებული გელის მეშვეობით. ამ ორი სახეობის შერწყმა კარგ ეფექტს იძლევა.

ენზიმური ეპილაცია

ეპილაციის ეს სახეობა ეფუძნება თერმოთერაპიისა და ენზიმის შემცველი ნივთიერებების ერთდროულ გამოყენებას, რაც აფერხებს თმის ზრდას. ენზიმური ეპილაცია ტარდება ცვილოვან ეპილაციასთან სინქრონში.

ელოს–ეპილაცია

ეს არის კოსმეტოლოგიის ერთ–ერთი ყველაზე პროგრესული მეთოდი. იგი საჭიროებს ერთდროულად ორი სახის ენერჯის ერთდროულ გამოყენებას. აქ იგულისხმება სინათლისა და ელექტრული ენერჯია.

მამაკაცების ეპილაცია

ბოლო პერიოდში ეპილაცია მხოლოდ ქალების პრეროგატივად აღარ ითვლება. ყოველწლიურად სულ უფრო მეტი მამაკაცი იყენებს ამ მომსახურებას, რათა არასასურველი თმა მოიშოროს

კონტურული პლასტიკა (ინექციური კორექცია)

კონტურული პლასტიკა – ესაა კოსმეტიკური პროცედურების კომპლექსი, რომელიც მიმართულია მიმიკური ნაოჭების მოსაცილებლად და სახის კონტურების აღსადგენად. კონტურული პლასტიკის დროს კანქვეშ შეჰყავთ სპეციალური პრეპარატები; შედეგად კანი ახალგაზრდავდება, ნაოჭები სწორდება; შესაძლებელია ასევე ტუჩის მოცულობისა და ფორმის კორექცია. კონტურული პლასტიკის დროს იყენებენ ჰიალურონის მჟავას პრეპარატებს (რესტილაინი, პერლაინი, იუვიდერმი და სხვა). პროცედურა პრაქტიკულად უმტკივნეულოა. ერთი ინექცია საკმარისია ეფექტის შესანარჩუნებლად ერთი წლის განმავლობაში.

კორექციას ექვემდებარება:

წარბებშუა და ცხვირ-ტუჩის ნაოჭები;
ტუჩის, კისრის, შუბლის, წარბებშუა და თვალის კუთხეების ნაოჭები;
ტუჩები ე. წ. „კურდღლის ტუჩის“ ოპერაციის შემდეგ.

უკუჩვენებები:

კანის დაავადებები
ალერგია პრეპარატის რომელიმე კომპონენტის მიმართ;
ონკოლოგიური დაავადებები;
ორსულობა.

ჰიალურონის მჟავას პრეპარატები (რესტილაინი, პერლაინი, იუვიდერმი)

კანის სიკვრივესა და ელასტიკურობას განაპირობებს მასში არსებული ჰიალურონის მჟავა. 25 წლის შემდეგ მისი გამომუშავება ქვეითდება და შედეგად თანდათანობით თავს იჩენს – კანი კარგავს სიკვრივესა და ელასტიკურობას, ჩნდება ნაოჭები, იცვლება სახის ფერი. ამგვარი მოვლენების თავიდან აცილების ერთ-ერთი საშუალებაა ჰიალურონის მჟავას პრეპარატების (რესტილაინი, პერლაინი, იუვიდერმი და სხვ.) კანქვეშა ინექციები. როგორც წესი, ინექცია არ იწვევს ალერგიას, გამაახალგაზრდავებელი ეფექტი კი საკმაოდ საწრაფად, შეიძლება ითქვას, დაუყონებლივ დგება. Read the rest of this entry »

კოსმეტიკა და წყალი

უძველესი ბერძნული მითის მიხედვით სილამაზის ქალღმერთი აფროდიტე იშვა ზღვის ქაფისაგან. ძველი რომაელი ექიმი კორნელიუს ცელსიუსი წყალს უნივერსალურ თვისებებს მიაწერდა, თვლიდა რა სხვადასხვა დაავადებებთან პროფილაქტიკისათვის საუკეთესო საშუალებად.

წყლის პროცედურები ააქტივებს სისხლის მიმოქცევას და განაპირობებს კანის შეწოვის გააქტიურებას, რაც ხელს უწყობს მკვებავი კრემებისა თუ ნიღბების სასარგებლო თვისებების გამოვლენას. წყალი ეხმარება ადამიანს შეინარჩუნოს სილამაზე, მხნეობა და ჯანმრთელობა, წარმოადგენს დაღლილობის მოხსნის საუკეთესო საშუალებას, განსაკუთრებით მძიმე სამუშაო დღის შემდეგ.

როგორც ცნობილია, ჩრდილოეთის ქვეყნებში ტენიანი ჰავაა, ასეთი ჰაერი სახის კანის ბუნებრივი „ნიღაბი“ ან „კომპრესია“. ტენი ღრმად აღწევს კანის ფორებში, იცავს კანს მტვრისაგან, ხდის მას აბრეშუმით ნაზს. არ არსებობს კრემი, რომელიც უკეთესად დაიცავდა კანს, ექნებოდა გამაახალგაზრდავებელი და შემამსუბუქებელი ეფექტი

სწორედ ამიტომ აქვს სახის კანისათვის ზღვაზე ან მდინარეზე გატარებულ რამდენიმე დღეს არაჩვეულებრივი ეფექტი. უნდა ითქვას, რომ გაუწყლოება ნაოჭების გაჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. წყლის გამოყენება შეიძლება ნებისმიერი ფიზიკური ფორმით: ორთქლის, გაყინული ან თოვლის სახით. კანზე წყლის მოქმედების ეფექტი დამოკიდებულია ტემპერატურაზე. თბილი წყალი აფართოვებს სისხლძარღვებს და აუმჯობესებს კანის კვებას.

ცივი წყალი ავიწროვებს სისხლძარღვებს და ხელს უწყობს კანის გადაჭიმვას. სახის წყლით დაბანის შემდეგ სასურველია თუ მას არ შევიძმრალეხთ და საშუალებას მივცემთ თავად გამრეს კანი, რათა მოხდეს ტენის ნაწილის უკეთესი შეწოვა. ამ მხრივ სასურველია გადამდნარი წყლის გამოყენება. სახის კანის ფიზიოლოგიური აქტივობის გაუმჯობესების მიზნით საუკეთესოა ე. წ. „გაზაფხულის წყალი“, რომელიც აგარაკზე ან ტყეში ყოფნის დროს უნდა მივაწოდოთ ჩვენს ორგანიზმს. წყალი ააქტივებს საჭმლის მომნელებელ, ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემების მოქმედებას, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას, აქვს მატონიზირებელი ეფექტი და აახალგაზრდავებს კანს, ხელს უწყობს ოფლის გამოყოფას.

კოსმეტოლოგიურ კაბინეტებში საკმაო პოპულარობით სარგებლობს თბილი და ცივი კომპრესები, ორთქლის აბაზანები, ყინულისა თუ თოვლის ნიღბები. თბილი კომპრესებისათვის იყენებენ შედარებით სქელი ქაღალდის საფენებს, რომელიც სახის კონტურზეა გამოჭრილი. საფენს ასველებენ წყალში, წურავენ და დებენ ორთქლზე. გაცხელებული საფენის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 50°C, წინააღმდეგ შემთხვევაში სახის კანზე შესაძლოა გაჩნდეს წითელი ლაქები, მოხდეს კაპილარების გაფართოვება და მათი დაზიანება. თბილი კომპრესი პირველად იდება ნიკაპზე, რათა შემოწმდეს სახის კანის მგრძობელობა, ხოლო შემდეგ ფრთხილად დაიტანება მთელს სახეზე. 1-2 წუთის გასვლის შემდეგ კომპრესი უნდა შეიცვალოს ახლით. კომპრესების

გამოყენების უკუჩვენებას წარმოადგენს სახის გაფართოვებული სისხლძარღვები.

კომპრესების გამოყენების დროს წყლის ტემპერატურა დაახლოებით 18°C-ია. პროცედურა ტარდება მხოლოდ თბილ შენობაში და ექიმთან კონსულტაციის შემდეგ. ცივი კომპრესი ხურავს კანის ფორებს და განაპირობებს ტონუსის მომატებას. მშრალი კანის შემთხვევაში უმჯობესია თბილი და ცივი კომპრესების ერთდროული გამოყენება, რაც აუმჯობესებს სახის კანის ფუნქციონალურ აქტივობას და ამაგრებს სისხლძარღვთა კედლებს. ამავე მიზნით გამოიყენება ოთახის ტემპერატურის მინერალური ან ზღვის წყლის კომპრესები. კომპრესი სახის კანზე თავსდება 30 წუთის განმავლობაში, შედეგი სახეზეა 30 პროცედურის შემდეგ. ასევე ძალიან კარგი შედეგები აქვს ორთქლის აბაზანებს, განსაკუთრებით ცხიმიანი და ფერმკრთალი კანის შემთხვევაში. ორთქლის აბაზანებს არ იყენებენ ასთმით დაავადებულები, ისინი, რომელთაც აწუხებთ გულის პათოლოგიები.

სახის კანზე არსებული წითელი ლაქებისა და გაფართოებული სისხლძარღვების დროს ორთქლის აბაზანების მიღება არ არის რეკომენდებული. ისეთი კანის შემთხვევაში, რომელიც მიდრეკილია სხვადასხვა ანთებითი პროცესების მიმართ, საუკეთესოა ყინულის პროცედურები. ყინულის კომპრესის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ერთი წუთის განმავლობაში. პროცედურა იწყება კისრიდან, შემდეგ გადადიან შუბლსა და საფეთქელზე. იმისათვის, რომ კანი შეეჩვიოს ცივს, საჭიროა პროცედურა დაიწყოს ცივი კომპრესებით და შემდეგ გაგრძელდეს ყინულის პროცედურით.

ცხიმიანი კანი – ასეთი ტიპის კანი, ვიზუალური თვალსაზრისით, ძალიან წააგავს ფორთოხლის კანს. ამ შემთხვევაში ფორები არის გაფართოებული, რაც შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად

შეიმჩნევა. გარდა ამისა, კანის ზედაპირი მუდმივად პრიალებს, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. მის მოსავლელად, ძირითადად, ვიყენებთ ისეთ ნიღბებსა და ლოსიონებს, სადაც სპირტის შემცველობა მაღალია, ხოლო მკვებავი კრემების შემადგენლობიდან ამოღებულია ინგრედიენტი სპერმაცევტი. სახის კოსმეტიკური საპნით ჩამოხანა დასაშვებია კვირაში სამჯერ, ისევე, როგორც პილინგის (სახის ზედაპირული გაწმენდა) გამოყენება. გამწმენდი პროცედურის ჩატარების შემდეგ, ფორების შესაკვრელად უნდა გავიკეთოთ "კაულინის" – თეთრი თიხის ნიღაბი. ცხიმიანი ტიპის კანი ძალიან იშვიათად ღიზიანდება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მაინც იჩინა თავი რაიმე სახის პრობლემამ, გამონაყარის სახით, კანი უნდა დამუშავდეს ჯერ სამედიცინო სპირტით, მერე სალიცინის 2%-იანი სპირტით და ბოლოს, უშუალოდ პრობლემატურ ადგილს უნდა დავავაროთ დაფხვნილი სტრეპტოციტი. ცხიმიანი კანი გაცილებით გვიან ბერდება. სახლის პირობებში სახის გაწმენდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სიმინდის ფქვილი. მისი გამოყენება სასურველია კვირაში ერთხელ.

ნიღაბი: 1 ს.კ თეთრი თიხა, 1 ჩ.კ 70%-იანი სპირტი, 1 ჩ.კ ლიმონის წვენი. ნაზავს წავისვამთ სახეზე და გამრობის შემდეგ ჩამოვიბანთ თბილი წყლით.

* * *

მშრალი კანი – ამ შემთხვევაში კანი ერთი შეხედვით უფრო ფერმკრთალია, სახის კუნთები მოშვებულია, ნაკლები ტონუსი აქვს მას და ადვილად ღიზიანდება. აქ ყოველდღიური ხმარებიდან აუცილებლად უნდა ამოვიღოთ ნებისმიერი კოსმეტიკური საშუალება, რომელიც შეიცავს სპირტს, რადგან ის კიდევ უფრო მეტად აშრობს სახეს. ყველაზე საუკეთესო საშუალება არის ოხრახუში. სახლის პირობებში კრემს დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში (რამდენიც ერთ პროცედურაზეა საჭირო), დავიდოთ სახეზე 10–15 წუთით, შემდეგ ბამბის ტამპონით მოვიხსნათ წასმული მასა, ჩამოვიბანოთ თბილი წყლით და წავისვათ იგივე კრემი (ახლა უკვე ოხრახუშის გარეშე). ამ პროცედურის კვირაში 2–ჯერ გამეორება კანს დაატენიანებს და უამრავი ვიტამინით გამოკვებავს.

ნიღაბი: 1 საშუალო თავი შემწვარი ხახვი, 1 ს.კ თაფლი, 1 ჩ.კ ზეთუნის ზეთი. ნაზავი სახესა და ყელზე ჩერდება 15–20 წუთი, ჩამოვიბანოთ თბილი წყლით.

* * *

ნორმალური კანი – იმის მიუხედავად, რომ მას ვიზუალური თვალსაზრისით ვარდისფერი შეფერილობა აქვს, არის ელასტიური და მასზე არაა გამოხატული მოჭარბებული ცხიმოვანობა, არ აღინიშნება გამონაყარი, აკნე (ფერისმჭამელები) მაინც საჭიროებს მოვლას. ამ შემთხვევაში, საჭიროა, როგორც სახის კანის ჰიგიენის ნორმების დაცვა, ასევე სხვადასხვა ტიპის ნიღბების გაკეთება.

ნიღაბი: 1 ს.კ საფუარი, 1 ჩ.კ 3%-იანი წყალბადის ზეჟანგი ("პერეკისი"), ნაზავი სახეზე ჩერდება 10–15 წუთი და ჩამოვიბანოთ თბილი წყლით.

* * *

კომბინირებული კანი – ამ დროს კანი ორადაა გაყოფილი – ანუ შუბლი, ცხვირი და ნიკაპი არის ცხიმოვანი, ხოლო ლოყები არის ნორმალური ან მშრალი. აქაც, ისევე, როგორც ცხიმოვანი ტიპის კანის შემთხვევაში, სასურველია, მჭადის ფქვილის გამოყენება (მხოლოდ ცხიმოვან ნაწილზე). სახეზე გამონაყარისა და ანთებითი პროცესის შემთხვევაში საუკეთესო გამწმენდი საშუალებაა ჩაის ან გვირილის ნაყენი. არ შეიძლება ნაყენის წამოღებულება, წყალი უნდა დაესხას ზემოხსენებულ მცენარეებს, 5 წუთის შემდეგ გადაწუროთ და მიღებული ხსნარით დაიმუშაოთ სახე. ჩვენ მიერ მომზადებული ე.წ. ლოსიონი შესაძლოა 10 დღის მანძილზე შევინახოთ მაცივარში და ინტენსიურად გამოვიყენოთ. ამ შემთხვევაში, როდესაც კეთდება ნიღაბი, საჭიროა, მზა მასის ცხიმოვან ადგილებში უფრო დიდი რაოდენობით დატანა, ვიდრე სახის დანარჩენ ნაწილზე.

ნიღაბი: 1 ს.კ ნაღები, 1 ს.კ წვრილად დაჭრილი პიტნა, 1 ჩ.კ თაფლი, ნაზავი სახესა და ყელზე ჩერდება 15 წუთი და ჩამოვიბანოთ თბილი წყლით.

* * *

აკნე (ფერისმჭამელები) – ეს არის შავი წერტილები, რომლებიც წარმოიქმნება კანზე მოჭარბებული ცხიმოვანობის დროს. ასევე აკნეს წარმოშობას ძალიან უწყობს ხელს დაბინძურებული გარემო. ხშირად ისე ხდება, რომ სახლის პირობებში სათანადოდ ვერ

იწმინდება კანი და დროთა განმავლობაში ჩნდება შავი წერტილები. პრობლემის წარმოქმნისას, სჯობს, დროულად მივმართოთ კოსმეტოლოგს. კურსი არის ერთთვიანი და შედგება ოთხი პროცედურისაგან, ანუ კვირაში ერთხელ იწმინდება სახე. პირველი ვიზიტისას, სახის გაწმენდა ხდება უფრო ღრმად – კოსმეტიკური კოვზით, ხოლო შემდეგი პროცედურები უკვე შედარებით ზედაპირულია. კარგად გაწმენდილ სახეს არ უნდა ეტყობოდეს რაიმე მცირე ზომის სიწითლეც კი. რაც შეეხება სახლის პირობებში სახის მოვლას, სასურველია, კვირაში ერთხელ ჩავიტაროთ ზედაპირული პილინგი "სკრაბით".

ნიღაბი: 1 ჩ.კ საპარსი კრემი, 1/4 ჩ.კ სუფრის მარილი, 1/4 ჩ.კ სოდა. ნაზავი ისმება ცხელი წყლით დარბილებულ სახეზე (იმ ადგილებში სადაც აკნეა განვითარებული), 15 წუთის შემდეგ სახე ჩამოვიბანოთ თბილი წყლით.

* * *

სახის კანის მოვლა გარდატეხის ასაკში – პატარა გოგონები ზოგჯერ თვითნებური გაწმენდით იზიანებენ სახის კანს. ასეთ დროს აუცილებელია, მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ მოხდეს მათი სახის კანის გაწმენდა კოსმეტოლოგიურ კაბინეტში. მათ უნდა დაენიშნოთ როგორც გამწმენდი ლოსიონები, ასევე კრემები.

ზოგადად, მზის სხივები ძალიან სასარგებლოა კანისათვის, მაგრამ განუსაზღვრელი დროით მზეზე ყოფნა საზიანოა. ნამზეურის მიღებას თავისი განსაზღვრული პერიოდი აქვს – ანუ დილის საათებში 9–დან 12–მდე, ხოლო საღამოს – 6 საათიდან მზის ჩასვლამდე. თუ ყველა დაიცავს ამ შუალედს, მაშინ კანის შეფერილობა იქნება ბუნებრივი, არ გაწითლდება და რაც მთავარია, არ დაიწვება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვინდა ზამთრის პერიოდშიც გარუჯული ვიყოთ, უნდა მივმართოთ სოლარიუმს. თუმცა, მათ, ვისაც სხეულზე აქვთ ხალები ან მეჭეჭები, თავი უნდა აარიდონ ხელოვნური ნარუჯის მიღებას. ასევე სოლარიუმით სარგებლობა არაა რეკომენდირებული ორსულებისთვის.

ტუჩის კანსაც განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროება რადგან მისი საფარი ყველაზე თხელია და ადვილად ზიანდება, მოუარეთ მას

ისე როგორც სახის კანს, მკვებავი კრემებით, მზისგან დამცავი საშუალებებით და ა.შ

წყარო: <http://week.ge/index.php?newsid=14863>

© WEEK.GE

პროდუქტები, რომლებიც გვხვდება პარაფარმაცევტულ პროდუქციაში

სამკურნალო თავისა და ტანის მოვლის საშუალებები, ძირითადად მცენარეული კომპონენტებისგან შედგებიან. ესენია ცხიმები, ზეთები, ეთერზეთები, ცვილები (სპერმაცევიტი,თაფლის სანთელი, ემულგატორები) კოსმეტიკური მჟავები და კონსერვანტები, და აქტიურად მოქმედი ანუ ძირითადი ნივთიერებები. განვიხილოთ მოკლედ, თითოეული მათგანი.

ცხიმები ენერჯის წყაროა, ამას გარდა „ცხიმოვანი ქსოვილები“ იცავს ორგანიზმს სითბოს დაკარგვისა და დაზიანებებისგან, შინაგან ორგანოებს ცხიმოვანი კაფსულა იცავს მექანიკური დაზიანებებისგან. ცხიმის მარაგი ხდება ძირითადი ენერჯის წყარო იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი რაღაც მიზეზების გამო ვერ ახერხებს კვებას.

ცხიმის წყაროდ ითვლება ცხოველური ცხიმები და მცენარეული ზეთი, ასევე ხორცი, თევზი, კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები, ცხიმები შეიცავენ ნაჯერ და უჯერ ცხიმოვან მჟავებს, ცხიმში ხსნად A, B, E ვიტამინებს, ლეციტინს და სხვა ნივთიერებებს, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმისთვის. ისინი ხელს უწყობენ ნაწლავებიდან მინერალური ნივთიერებების და ცხიმში ხსნადი ვიტამინების შეწოვას. ცხიმოვანი ქსოვილები არის აქტიური რეზერვი ენერგეტიკული მატერიალის, ცხიმები აუმჯობესებს საკვების გემოს, და იწვევს ნაყროვანობის გრძნობას, ისინი შეიძლება წარმოიქმნან ნახშირწყლებისგან და ცილებისგან, მაგრამ სრულად მათგან ვერ შეივსება.

ცხიმები-ცხიმებიდან უფრო ხშირად გვხვდაება კაკაოს ცხიმი ,ქოქოსის ცხიმი, პალმის ცხიმი, ავოკადოს ცხიმი, მანგოს ცხიმი, ლანოლინი , ვაზელინი. და სხვა

ზეთები- ზეთებიდან იხმარება ავოკადოს ზეთი,ვაზელინის ზეთი, ნუშის ზეთი, ბრინჯის ზეთი, არახისის ზეთი, ასკილის ზეთი, ხორბლის ჩანასახის, ჟოჟობას და სხვა.

ეთერზეთებიდან-ჩაის ხის ეთერზეთი, ვარდის ეთერზეთი, ევკალიპტის, როზმარინის, ფორთოხლის, ლიმნის, ატმის, გარგრის, გერანის, ფაჩულის ლავანდას და სხვა ეთერზეთები.

ფუძეებად გამოიყენება- ლეციტინი, სპერმაცევიტი, თაფლის სანთელი, თეთრი თიხა და სხვა.

მჟავებიდან ხშირად გვხვდება-ნატრიუმის ბენზოატის, სტეარინის, ასკორბინის, ბენზოეს, სალიცილის,ლიმონის, ქარვის, რძის და სხვა მჟავები.

აქტიური კომპონენტები, ანუ მოქმედი ნივთიერებები ძირითადად ის კონცენტრატებია, რომლის სამკურნალო თვისებასაც ვიყენებთ. შესაბამისად ეს შეიძლება იყოს, მცენარე, მტკნარი ზღვის მინერალები, სამკურნალო წყალი, ფუტკრის პროდუქტი, ვიტამინი, და სხვა სამკურნალო თვისებების მქონე ნივთიერებები.

არომათერაპია ის დარგია, რომელიც ინტენსიურად ვითარდება და სულ უფრო პოპულარული ხდება. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ არომათერაპიაში გამოყენებული ეთერზეთები აბსოლუტურად უსაფრთხო ბუნებრივი საშუალებაა.

არომათერაპია -არის უძველესი თერაპიის მეთოდი, რომელიც ძველ დმოსავლეთის ქვეყნებში წაპმატებით გამოიყენებოდა, იაპონელი გეიშები, ამ საქმის დიდოსტატები იყვნენ. ეს იყო არომატებზე და მათ უნიკალურ თვისებებზე დამყარებული თერაპია. დღეს მცენარეული არომატები და მცენარეული

ენერგია წარმატებით გამოყენება ზოგიერთი სიმპტომების განსაკურნავად. არსებობს რამდენიმე თერაპიული მეთოდი, სადაც ეთერზეთებს იყენებენ. თავის მხრივ, ეთეროვანი ნივთიერებები შეგვიძლია სამ ჯგუფად დავყოთ: ინჰალაციური, გარეგანი გამოყენებისთვის და დასალევი საშუალებები. ეთერზეთებს შეიცავს მცენარეების საკმაოდ დიდი ნაწილი. დღეს 2000-მდე ეთეროვანი ზეთია ცნობილი, რომელთა გამოყენება გარკვეული ჩივილების დროს საკმაოდ ეფექტურია.

ეთერზეთებისათვის დამახასიათებელია ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, ანტივირუსული ქმედება. არსებობს ეთერზეთების ისეთი სახეობები, რომლებიც დამამშვიდებელი, დამაწყნარებელი თვისებებით გამოირჩევა. მაგალითად გვირილას და ჟასმინის ეთეროვანი ზეთები დადებითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. სტრესის, გაღიზიანებისა და ემოციურობის დროს ისინი კარგი დამხმარენი არიან, ასევე ამაღლებენ შრომისუნარიანობას და ხელს უწყობენ მშვიდ ძილს.

მცენარეებს ყოველთვის გააჩნიათ ენერჯის დიდი მარაგები, რომლებიც ეხმარებათ მათ, შეეგუონ გარემოს მკაცრ პირობებს (მაგნიტური ქარიშხალები, ატმოსფერული წნევის ცვალებადობა და ა.შ.) ეთერზეთები [არომაზეთები] აღწევენ, რა ადამიანის აურაში ეხმარებიან მას შიმშილის შეგრძნების დაძლევაში. ხელს უწყობენ ჭრილობების მოშუშებას და იმუნოდეფიციტის აღდგენით პროცესებს. ენერჯის გადანაწილებას და ჰარმონიზაციას. ამკვრივებენ და ასხივოსნებენ ელექტრომაგნიტურ ველს. ისინი მოქმედებენ ადამიანის ფიზიკურ ჯამრთელობაზე და პიროვნების მოქმედების მოტივაციაზე.

არომაზეთები მოქმედებენ ადამიანის ემოციებზე დადებითად. უბიძგებენ პიროვნების განწყობებს ჰუმანურობისკენ. ეთერზეთების იონური კომპონენტები ამაღლებენ მგრძნობიარობას და გახსნას კოსმოსურ ენერჯისკენ. არომაზეთებს შეუძლიათ

დაეხმარონ ადამიანებს მათი აურის აღდგენაში. სიკეთის და სამართლიანობის გემოს გაგებაში, არა კეთილმოსურნეობის კომპლექსების დაძლევაში. ეთეროვანი ნივთიერებები შესაძლებელია დაიყოს სამ ჯგუფად: ინჰალაციური, გარეგანი გამოყენებისთვის და დასალევი საშუალებები. ეთერზეთებს შეიცავს მცენარეების საკმაოდ დიდი ნაწილი. დღეს 2000-მდე ეთეროვანი ზეთია ცნობილი, რომელთა გამოყენება გარკვეული პრობლემების დროს საკმაოდ ეფექტურია.

ფორთოხალი -[Citrus aurantium] ამაღლებს ოპტიმიზმს, დამაჯერებლობას და მომხიბლველობას საკუთარ ძალებში. აღებს აურას სიკეთის და დადებითი ინფორმაციის აღქმისათვის. აცოცხლებს აურის დაზიანებულ ფენებს მძიმე ავადმყოფობის გადატანის შემდგომ.

რეჰანი -[Ocimum basilicum] აღადგენს თვითშეფასების ობიექტურობას. ეხმარება კომპლექსების მოხსნაში.

ბიას ფოთლები -[Pimenta racemosa] ახორციებს აურის ჭრილობებს. დაკავშირებულს შეუვსებელ დანაკარგებთან. ეხმარება უბედურების და ცოცხალი დანაკარგების გადალახვაში. ამაღლებს აურის სიმკვრივეს და იმუნიტეტს.

ბეგარმუტი -[citrus bergamia] აღიავებს, ამძლავრებს აურის სიკაშკაშეს. ეხმარება ცოდნას და შემოქმედებაში წინსვლას. ანეიტრალებს სხვებისგან მასზე აგრესიულ ენერგეტიკის ზემოქმედებას.

ბექონდარა -[Thymus vulgaris] ამძლავრებს ნებისყოფის საწყისებს. ეხმარება გადალახოს ორჭოფობა. ამაგრებს აურის სიკაშკაშეს და ენერგეტიკულ ნათებას. ეხმარება გაანეიტრალოს დამანგრევებელი მექანიზმები, განთავსებული აურის გარეგან გარსში. ხელს უწყობს ენერგიის განახლებას და აურის იმუნიტეტს.

თავშავა -[*Origanum vulgare*] გეხმარებათ დახუროთ ენერგეტიკული ორმოები, დაკავშირებული გაძლიერებულ გაღიზიანებასთან და იმპულსურ საქციელთან. ხელს გიწყობთ სწრაფად დაამუშაოთ თქვენი შეცდომები.

ევკალიპტი -[*Eukalyptus globulus*] ეხმარება სტრესის და ავადმყოფობის შემდგომ ძალების სწრაფად აღდგენას. ამატებას ენერჯის რაოდენობას ადამიანის ხანგრძლივი ცხოვრებისთვის.

ფენხელი -[*Foeniculum vulgare*] ეხმარება სწრაფად გამოვიდეს ადამიანი დაბნეულობისგან. არასწორი შეფასებების და უსამართლო დასკვნებისგან. სამართლიანად გაუსწოროს თვალები სიმართლეს. იცავს აურას ტრამვებისგან. ალებს ჩაკრებს განახლებისთვის.

ნემსიწვერა -[*Pelargonium roseum*] გერანი - ხელს უშლის აურის თვითდაშლის მექანიზმს. აქრობს სხვის აზრზე დამოკიდებულებლობის კომპლექს და ეხმარება პიროვნებას ამ მდგომარეობებიდან პატარა დანაკარგების აღადგენაში. აღადგენს ჯანმრთელ შეფასებებს და მოტივაციებს. ეხმარება აურას ეტანოლური ფორმის დაბრუნებაში.

გრეიფრუტი -[*Citrus paradisi*] უბლოკავს გაუმართლებელ თვით დაჯერებას, აძლევს ობიექტური შეფასების უნარს. ეხმარება საზოგადოებასა და სამსახურში მიაღწიონ წარმატებები, ფსიქოლოგიური ძალის გაძლიერებით.

მიხაკი -[*Eugenia caryophyllata*] ეხმარება გადალახოს და მოიშოროს ნატურის ისტერიკულობა. ცვლის მის ცხოვრებისეულ აქცენტებს. გარეგანი ეფექტებიდან გადაყავს პირად დახელოვნებაზე. ამაგრებს და ამკვრივებს აურას. ეხმარება სხვების ავი ზრახვებიდან და შურისგან დაცვაში. უქმნის მის ნატურას მდგრად თვისებებს.

ილანგ-ილანგი -[*Cananga odorata*] ძველებური დაბოლების ესენცია. იზიდავს სიყვარულის და სამყაროს დადებით ენერჯიას.

აწონასწორებს ენერგეტიკულ გარს. აღადგენს სიმეტრიას. ხელს უწყობს ძირითადი ჩაკრების განვითარებას.

ილი -[Zingiber officinale] [იმბირი] - ამაგრებს ნატურის სიმტკიცეს, მიზანსწრაფვას. ამსუბუქებს აურის აღზდგენას ავადმყოფობის, ტრამვების ოპერაციების და შავი ენერგეტიკული აგრესიების შემდგომ. უკეთებს“ამპუტაციას”ენერგეტიკულ “კუდს”ასწავლის სწორ გზას სიყვარულისკენ.

ჰისოპი -[Hyssopus officinalis] ეხმარება გაასუფთაოს და განაახლოს ენერგეტიკული გარსი. აურაში ასუფთავებს განაშენიანებულ პროცესებს. ამალღებს ვნებიანობას, კომუნიკაბელურობას. ხელს უწყობს ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვებას.

კიაპუტი -[Malaeuca Leucadendron] საუკეთესოდ იცავს შურის და არაკეთილ მოსურნეებისგან. ეხმარება აურას სწრაფად აღადგინოს, ნეგატიური ენერგეტიკული ზემოქმედება. აძლიერებს იმუნურ ძალებს და განახლებული ენერჯის გამტარ უნარიანობას. ხელს უწყობს ენერჯის გადანაწილებას სუსტად განვითარებულ ჩაკრებში, ენერჯის დეფიციტის დროს.

ნიორი Allium sativum ერთწლოვანი ბოლქვიანი მცენარე შრ ო შანისებრთა (Lilaaceae) ოჯახი სა. ველურად გვხვდება შუა აზიის მთებში ი, სამხრეთ ყაზახეთში, კავკასიაში. აქვს მუქი მწვანე, ვიწრო და ლანცეტი სებრი ფოთოლი. ბოლქვი 2-50-მდე კბილი საგან შედგება. კბილი და ფარ უ ლ ი ა თხელი აპკ ი თ, ხოლ ო მთლიანად ბო ლქვი — 2-8 მზზინავი აპკით ან ქერქლით. ნიო რის ზოგი ჯიში ივითარებს 60-150 სმ სიმაღლი ს საყვავილე ყლორტს, ყვავილში 60-450-მდე პატარა საჰაე რ ო ბო ლქვაკია. ნიორი თეს ლ ს არ იძლევა, მრავლდება კბილით და ბოლქვაკით. ბოლქვ სა და მწვანე მასას იყენე ბენ საჭმე ლად, კულინარია სა და საკონსერვ ო მრეწველ ობაში. ნიორის კბი ლ ი შეი ცავს მშრა ლ ნივთიერებას, ნედლ ცილას, C ვიტამინს, რედუცირებ უ ლ შაქარს, გამოიყენება, როგორც ანტისეპტიკური, ანტივირუსული , ანტიბაქტერიული, ქოლესტერინის დამწევი, ინფარქტის და ინსულტის, პროფილაქტიკისათვის, მამაკაცთა პოტენციას მაღლა სწევს.

კედარი -[*Juniperus virginiana*] აძლიერებს ენერჯის განახლების და აღდგენით პროცესებს აურაში. ავსებს გაცვეთილ ფენებს. ეხმარება სწრაფად ავადმყოფობის და ნერვიული სისტემის გადამეტებული დამაბულობის შემდგომ აღდგენით პროცესებში. აკეთილშობილებს ფიქრების და საქციელის საფუძვლებს.

კიპარისი -[*Cupessus sempervirens*] წარმოადგენს ზეთ - ფარს. ხურავს დაზიანებულ ჩაკრებს არაკეთილ მოსურნეებისგან. წინააღმდეგობას უწევს ენერგეტიკული ვამპირულ კონტაქტების ზემოქმედებას. ანაწილებს ენერგეტიკულ სიმკვრივეს თანაბრად და ჰარმონიულად.

დარიჩინი -[*Cinnamomum zeylanicum*] ზრდის, ათბობს და რეგენერირებს აურას. ხელს უწყობს მიზნობრივი იმპულსების გამომუშავებას. პიროვნების საქმიანობის გაუმართლებლობის ადვილად გადალახვას. ოპტიმისტურ განწყობას და საკუთარ ძალების პატივისცემას. ალაგებს ჰარმონიულ დამოკიდებულებებს მამკაცს და ქალს შორის. ადებს სიყვარულის სუნთქვას და აახლოებს მას კოსმოსთან.

ლადანნი -[*Boswellia sacra*] ერთ ერთი უძველესი და ძვირფასი დაბოლების სუბსტანცია. აღადგენს ენერგეტიკულ “სამართლიანობას” უბრუნებს ენერჯიას პატრონს. იმ შეთხვევაში თუ, თქვენ გრძნობთ ენერგეტიკულ დისკომფორტს, ლადანის მიღების შემდგომ ნეგატიური ენერჯია უბრუნდება მას, ვინც ეს თქვენ გისაჩუქრად. ლადანი არის არომატი მედიტაციის. ის ამაგრებს რწმენას და ძალას. ამაღლებს ენერგეტიკული გარსის მდგრადობას ნეგატივის წინააღმდეგ. გიადვილებთ ენერჯის მიღებას კოსმოსიდან. გეხმარებათ იპოვოთ სიყვარული და შექმნათ ოჯახი. ასუფთავებს, აწონასწორებს და აძლიერებს აურას.

ლავანდა -[*Lavandula officinalis*] ხელს უწყობს თვითგანათლებას. მედიტაციას. ძალების სწრაფად აღდგენას. ამარაგებს მთლიან ენერგეტიკულ რელაქსაციას. ეხმარება ენერგეტიკული გარსის

დონეზე აურას ნაჭრილობების შესრუტვაში. ამცირებს აგრესიას და მკურნავს შურისაგან.

